პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 254 (18796) ოთხშაბათი, 2 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ კვლევითს სამუშაოთა შედეგიანობა! აქტიურად შეუწყვეთ ხელი წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოციალისტურ მოწოდებებიდან.

მშვიდობა მსოფლიოს

მილიონთა გულისთქმა

ქიმიფელი კოლმეურნეები ყურადღებით გეცნენ ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის პასუხს გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე. ჩვენ მშვიდობა გვინდა, და ჩვენი პარტია და მთავრობა ამისათვის ყოველდღიურად შეუნელებლად ზრუნავენ. მადლიერი ვართ ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების, რომ მშვიდობის დასაცავად ასე თავგამოდებით ზრუნავენ. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები არ ისვენებენ, დასავლეთ ევროპაში ახალი რაკეტების განლაგებისათვის დიდძალ სახსრებს ხარჯავენ.

ჩვენ მშვიდობა გვინდა, შრომა გვინდა! მიწის ნაყოფიერების გასაოდებლად ენერგიასა და სახსრებს არ ვზოგავთ, გვინდა საბჭოთა კავშირის მშრომელებს უხვად ჰქონდეთ პროდუქტები.

იმედი გვაქვს, რომ მილიონთა გულისთქმა გაიმარჯვებს, ხალხები არ დაუშვებენ ატომურ ომს!

ს. მუხაშავრია,
მახარაძის რაიონის ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

დედების სახელით

ცამეტი შვილის დედა გარ. კოლმეურნეობაში თავდადებული შრომით ორდენები დავიმსახურე. ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ ქვეყნად მშვიდობა და ბედნიერება დამკვიდრდეს. მშობლიური პარტიის მეოხებით 38 წელია ჩვენი ქვეყნის ცა მოწმენდილია. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეები ცდილობენ ევროპაში დაძაბულობა გაამწვავონ.

როცა გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის პასუხი წავიკითხე, ერთხელ კიდევ წარმოვიდგინე, რა საფრთხე ემუქრება მსოფლიოს. ყოველი ომი ნგრევა და უბედურებაა. მით უფრო ატომური ომი. ამერიკელი მილიტარისტები ახალ ხანძრებს აჩაღებენ ცენტრალურ ამერიკაში, არაბეთსა და მსოფლიოს სხვა რაიონებში.

ასეთ მძიმე ვითარებაში დედებს იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პარტიის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის შედეგად თავიდან ავიცილებთ ახალი ომის საფრთხეს.

უ. დუმბაძე,
გმირი დედა, ხელვაჩაურის რაიონის მეჩაიე.

თუ გვაშინებენ, ცდებიან!

პირდაპირ საოცარია, როგორ ხვდებიან ქვეყნის სათავეში ისეთი ადამიანები, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანია. ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, თითქოს ამ კაცს არაფერი აღელვებდეს, არაფერი აწუხებდეს. განა შეიძლება სახელმწიფოს ბედ-იღბალი ასეთი პიროვნების ხელში იყოს?!

გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე ამხანაგ ვ. ი. ანდროპოვის პასუხი სრულიად გასაგები და ნათელია. რა ძალასა და ღონეს არ ხმარობს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი საერთაშორისო მდგომარეობის განმუხტვისათვის, მაგრამ არ სურთ ოკეანისგადაღმელ ვაშინგტონებსა და კაპიტალისტური ქვეყნების ზოგიერთ სხვა ხელმძღვანელს მხარი დაგვიჭირონ. არ სურთ და, თუ ჰგონიათ შეგვაშინებენ, ცდებიან!

საწარმოს, რომელშიც მე ვშრომობ, მრავალი ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის საკითხი აქვს გადასაწყვეტი. ჩვენ ამისათვის მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა გვინდა. დარწმუნებული ვარ, ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთა უმრავლესობასაც იგივე სურს. ამიტომ მინდა ვიფიქროთო, რომ საღი აზრი, მდგომარეობისადმი რეალური მიდგომა სძლევს სიბოროტეს, ადამიანისადმი სიძულვილს.

ჩვენ შემართებული შრომით, ხვალინდელ დღეზე ზრუნვით ვუპასუხებთ იმპერიალისტთა გამოდომებს, არ დავიშურებთ ენერგიას დიადი საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის ძლიერებისათვის.

ნ. გოგოლაშვილი,
თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების მონტაჟორი, პარტიის ლენინის რაიკომის ბიუროს წევრი.

ნორმატიული წმინდა პროდუქცია

ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის კოლექტივების თავდადებული შრომით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით განვლილ ცხრა თვეში მოპოვებულია საკმაოდ დამაჯერებელი შედეგები. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 105,6 პროცენტი შეადგინა. ზრდის ასეთ ტემპს მთელმა რიგმა დარგებმა განსაზღვრული მატერიალური რესურსებით, რეზერვების ძიებით, მათი მაქსიმალური გამოყენებით მიაღწიეს და ამით პირნათლად შეასრულეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ნახევრის, მიმდინარე წლის ექვსი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად 1983 წლის ცხრა თვის პროგრამის წარმატებით დამთავრების ღონისძიებათა შესახებ“.

ცხრა თვის მანძილზე დამატებითი პროდუქციის გამოსაშვებად დიდძალი რეზერვები გამოავლინეს ჩაისა და ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტებმა. პირველი მათგანის საწარმოებმა გეგმის გადამეტებით 27,5 მილიონი მანეთის, ხოლო მეორისა—13,2 მილიონი მანეთის პროდუქცია დაამზადეს. მუყაოთად იშრომეს აგრეთვე ხორცისა და რძის მრეწველობისა და დამზადების სამინისტროების საწარმოების კოლექტივებმა. მათ მომხმარებელს დავალებით ნავარაუდევზე 25 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია მიაწოდეს. ამ პერიოდში მრეწველობამ გეგმის გადამეტებით მთლიანად 178,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ჩვენი რესპუბლიკა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაშიც დამაჯერებლად გამოიკურვება. საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნული საწარმის ხვედრითმა წილმა მრეწველობის მთლიან მოცულობაში 15 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება იმ პროდუქციის მოცულობას, რომელიც ატესტაციას ექვემდებარება, იგი 48 პროცენტს ეტოლება. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი კი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საუკეთესოა. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა მიყენებული ზარალისა, იანვარ-სექტემბრის დავალებანი შეასრულა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგმა.

უნდა ითქვას, რომ მრეწველობაში მოპოვებული წარმატებანი ზემოხსენებულ პერიოდში მნიშვნელოვნად განაპირობა ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებამ. ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი, როგორც ცნობილია, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის აუცილებელი პირობაა და უკვე რამდენიმე წელია წინა პლანზეა წამოწეული.

ამ მაჩვენებლისადმი დამოკიდებულება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან საწარმოთა კოლექტივები სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ნორმატიული წმინდა პროდუქცია მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში აღირიცხებოდა რესპუბლიკის 605 საწარმოში, რაც ჩვენი მრეწველობის 61,6 პროცენტს შეადგენს. აღნიშნულ პერიოდში ამ მაჩვენებელს რესპუბლიკის საშენ მასალათა, კვების მრეწველობის, დამზადების, მშენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და ზოგიერთ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ყველა საწარმო, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების 95 საწარმო ექვემდებარებოდა. მთლიანად ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვების გეგმა რესპუბლიკაში 102,2 პროცენტით შესრულდა. დავალებას ამ მიმართულებით თავი ვერ გაართვა 71, მათ შორის რვა საკავშირო, კვების მრეწველობის, მშენებლობის სამინისტროებისა და ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის შვიდ-შვიდმა საწარმომ.

ცხრა თვეში ნორმატიულ წმინდა პროდუქციაზე გადაანგარიშებით წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 106,9 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერებისა — 105,4 პროცენტი შეადგინა, რაც მისახალშეებელია. თუმცა, ვერც იმ ფაქტს ავუვლით გვერდს, რომ წარმოების მოცულობა ამ ხნის განმავლობაში, სამწუხაროდ, 176-მა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 167 საწარმომ შეამცირა. ასეთ საწარმოთა დიდი რაოდენობა, როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები მოწმობს, კვების მრეწველობისა და ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის წილად მოდის.

კარგია, რომ ხე-ტყის დამამუშავებელ, საშენ მასალათა მრეწველობის და მშენებლობის სამინისტროებში, აგრეთვე თბილისის გაზის აპარატურის, ელექტროშესაფუღებელ დანადგართა, საინსტრუმენტო, ფოთის „ელექტროაპარატის“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის ელექტრომექანიკურ, რუსთავის ამწეების ქარხნებში ნორმატიული წმინდა პროდუქციის ზრდის ტემპი უსწრებს სასაქონლო პროდუქციის გამოშვებას.

თბილისის „ელექტროიზოლიტისა“ და კალინინის სახელობის სხმულების დანადგართა, აგრეთვე თელავის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნებისა და ზოგიერთ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სასაქონლო პროდუქციის მატება უზრუნველყვეს, მაგრამ ნორმატიული, წმინდა პროდუქციის დონე შეამცირეს, რაც ყოვლად დაუშვებელია. კიდევ უფრო ცუდია, რომ ცხრაკალის ეკიბრაციული მანქანების, თბილისის საიუველირო, ახშეტის ბოჭკოვიანი ქარხნების კოლექტივებმა ვერც სასაქონლო და ვერც ნორმატიული წმინდა პროდუქციის მატების გეგმის შესრულება შეძლეს.

ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვებაზე ახლო მომავალში ყველა სამინისტრო, უწყება და საწარმო გადავა. ამას ვერავინ გაექცევა. ეს მაჩვენებელი აკონტროლებს მეურნეობის კოლექტივის მოღვაწეობას, მის საქმისადმი დამოკიდებულებას, მასში მშვენივრად მოჩანს, რა მატერიალური დანახარჯების ფასად ვამზადებთ პროდუქციას, მხოლოდ ამ მაჩვენებელზე გადაანგარიშებით უნდა ვზრდოთ წარმოების მოცულობა და შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი და ავამაღლოთ წარმოების კულტურა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა მოქმედების კონკრეტული პროგრამა დაგვისახა, ეს პროგრამა, როგორც ამას ცხრა თვის მონაცემები გვიჩვენებს, წარმატებით სრულდება, მაგრამ, საბოლოო მიზანს რომ მივაღწიოთ, საჭიროა რეზერვების შემდგომი ძიება-გამოყენებით, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებით კვლავ გავზარდოთ წარმოების მოცულობა, უნდა ავაშენოთ ის დიდი ზარალი, რომელიც არნახულმა უამინდობამ მიაყენა ჩვენს ეკონომიკას.

ქართველმა და რუსმა ხალხმა, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ დიდი აღმავლობით აღნიშნეს გეორგიევსკის მეგობრული ხელშეკრულებს 200 წლისთავი. ლირსშესანიშნავი იუბილესადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ გამარჯვებას მიაღწიეს. ახლა საჭიროა არ შევანელოთ შრომითი შეტოქეობის ტემპი და დიდი გადაჭარბებით შევასრულოთ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის გეგმა, მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შევქმნათ მომავალი წლის დავალებათა უთუო შესრულებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. დ. კუპრაძის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკის მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაერთ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძე დაჯილდოდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ი. ანდროპოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1983 წლის 1 ნოემბერი.

ოქტომბრის შემსახვედრად

ენერგეტიკოსთა საჩუქარი

ქართველი ენერგეტიკოსები წარმატებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავს. მათ შესანიშნავი საჩუქარი უძღვნეს დღესასწაულს — გაიდო რუსთავი ქართველი ხალხის მეგობრობის კიდევ ერთი ენერგეტიკული ხიდი. რთულ გეოგრაფიულ და მეტეოროლოგიურ პირობებში „კავკასელექტროქსელმშენის“ ტრესტის და საქმთავარენერგოს კოლექტივების თავდადებული შრომის შედეგად ჩაირთო და ამოქმედდა 110 კილოვატი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი ეზაჰესი-ყაზბეგი.

ელექტროგადამცემი ხაზი, რომლის სიგრძე 24,2 კილომეტრია, ძირითადად დარიალის ვიწრო ხეობაში გადის, ზოგიერთ უბანზე რკინაბეტონის ანძების მაგივრად ხაზი დაკიდებულია კლდეზე დამაგრებულ გვარლებზე.

ენერგეტიკოსებმა ელექტროგადამცემ ხაზს „მეგობრობა“ უწოდეს. ამ ხაზმა ერთმანეთს დაუკავშირა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ენერგოსისტემები. გარე ელექტრომომარაგების სარეზერვო წყარო მიიღო ყაზბეგისა და დუშეთის ადმინისტრაციულმა რაიონმა. ამ ენერგეტიკულ ხაზს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ენერგოსისტემისათვის, რადგან მთიანი რაიონების მოსახლეობა შემოდგომა-ზამთარში მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიით. („კომუნისტის“ კორ.).

საპატიო ხუთკუთხედის რეზერვები

თბილისში მოეწყო საერთოსაქალაქო ხარისხის დღე. ამით დამთავრდა ფართო მოძმარების პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ერთთვიური, რომლის დროს სარეიდო ბრიგადები, ოპერაცია „ხარისხის“ მომწყობი რაიონული შტაბების წევრები იყვნენ საწარმოთა სამეკრიზებში, რომლებიც მასობრივი მოთხოვნის ნაწარმს უშვებენ სავაჭრო ბაზებში, მოაწყვეს მყიდველთა კონფერენციები მაღაზიებში.

საქალაქო ხარისხის კომისიამ, ხარისხის ერთიანი სისტემის მართვის შტაბმა და სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველო ს რესპუბლიკურმა სამმართველომ განაზოგადეს რეიდებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაცია მისცეს მთელ რიგ სამინისტროებს, საწარმოებს წარმოებიდან ამოიღონ მოძველებული მოდელების საქონელი, შეიტანეს კონკრეტული წინადადებანი ხალხისათვის განკუთვნილი პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების თაობაზე. კერძოდ, გაერთიანება „ელმავალმშენებელს“, გაერთიანება „ჩარხმშენებელს“, წინდების საწარმოო გაერთიანებას, გაერთიანება „ისანს“, №2 და №3 მექანიკურ ქარხნებს მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვების გადიდება.

წამოაყენეს წინადადება განამტკიცონ ურთიერთობა სავაჭრო ობიექტებთან, უფრო მიზანდასახულად შეისწავლონ ამა თუ იმ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა.

— საქართველოს დედაქალაქში ახლა საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნულია მთელი სასაქონლო პროდუქციის 16 პროცენტზე მეტი და საატესტაციო პროდუქციის 48 პროცენტი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენ ტს სსრ კავშირის სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველოს განაზოგადეს რეიდებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაცია მისცეს მთელ რიგ სამინისტროებს, საწარმოებს წარმოებიდან ამოიღონ მოძველებული მოდელების საქონელი, შეიტანეს კონკრეტული წინადადებანი ხალხისათვის განკუთვნილი პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების თაობაზე. კერძოდ, გაერთიანება „ელმავალმშენებელს“, გაერთიანება „ჩარხმშენებელს“, წინდების საწარმოო გაერთიანებას, გაერთიანება „ისანს“, №2 და №3 მექანიკურ ქარხნებს მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ხარისხისნიშნიანი ნაწარმის გამოშვების გადიდება.

წამოაყენეს წინადადება განამტკიცონ ურთიერთობა სავაჭრო ობიექტებთან, უფრო მიზანდასახულად შეისწავლონ ამა თუ იმ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნა.

— საქართველოს დედაქალაქში ახლა საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნულია მთელი სასაქონლო პროდუქციის 16 პროცენტზე მეტი და საატესტაციო პროდუქციის 48 პროცენტი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენ ტს სსრ კავშირის სახსტანდარტის რესპუბლიკური სამმართველოს განაზოგადეს რეიდებისა და მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები და რეკომენდაცია მისცეს მთელ რიგ სამინისტროებს, საწარმოებს წარმოებიდან ამოიღონ მოძველებული მოდელების საქონელი, შეიტანეს კონკრეტული წინადადებანი ხალხისათვის განკუთვნილი პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების თაობაზე. კერძოდ, გაერთიანება „ელმავალმშენებელს“, გაერთიანება „ჩარხმშენებელს“, წინდების საწარმოო გაერთიანებას, გაერთიანებ

იაფი საკოქსე ქვანახშირი

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, რომელმაც მაღალნაყოფიერ, სტაბილური შრომით რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანის სპატიო სახელი მოიპოვა, გადაწყვიტა გადავიდეს შრომის ორგანიზაციის ახალ რეჟიმზე — საუბნოსაიჯარო სისტემით მუშაობაზე.

ეს სიახლე სულ პირველად მეხუთე საექსპლოატაციო უბანში დანერგეს. აქ ოთხი ბრიგადიდან ერთი გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადა შეიქმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მეშახტე ნოვატორი რეზო ბოჭორიშვილი.

ამ დღეებში მეხუთეუბნელებმა შეაჯამეს ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები. გამოირკვა, რომ უბნის კოლექტივმა ცხრა თვეში ამოიღო 1200 ტონა ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირი. სასიხარულოა სხვა ეკონომიკური მაჩვენებლებიც. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 5 პროცენტით, ტონა ქვანახშირი გაიაფდა 48 კაპიკით, მარტო ამ გზით უბანმა ორ თვეში 10 ათას მანეთზე მეტი დაზოგა.

თავდადებით იგრძვიან

საქართველოს შაქრის კომბინატი ქარელის რაიონის დება აგარაშია. მალე კომბინატი თავისი არსებობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს იზეიმებს. იუბილესათვის კომბინატის მშრომელები ახალ შრომითს საჩუქრებს ამზადებენ.

კომბინატის დირექტორმა გ. ჯანიაშვილმა თქვა: წელს ჩვენი ყველა მშრომელი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფო დავალება და გამოვუშვათ მაღალხარისხოვანი პროდუქცია. გასულ 9 თვეში გეგმის გადამეტებით კოლექტივმა 942 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. 26.200 ტონის ნაცვლად გამოშვებულია 28.762 ტონა შაქრის ფხვნილი. წლევანდელი მოსავლის შაქრის ჭარხალი პირველებმა ქარელელმა და ხაშურელმა მეჭარხლეებმა მოიტანეს. წინა საოქტომბრო დღეებში კომბინატი ყოველდღიურად 450-550 ტონა ნედლეულს ღებულობს.

წელს კომბინატს ტრადიციულად ყველაზე მეტ ჭარხლეს გორის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები მიაწვდიან (29.000 ტონა), შემდეგ მოდის ქარელის რაიონი (26.700 ტონა).

კომბინატის ათასკაციანი კოლექტივი ყველაფერს იღონებს, რათა შეუფერხებლად მიიღოს და გადაამუშაოს შრომით მრწეული ძვირფასი ნაყოფი, საიდანაც მაღალხარისხოვან შაქრის ფხვნილს აწარმოებენ. ამით ის თავის წვლილს შეიტანს სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში.



ს ურ ა თ ი ებ ზ ე: ზემოთ — ჭარხლის გადამცემი ხაზი; ქვემოთ — შაქრის ჭარხლის მიმღები პუნქტის ნედლეულის ლაბორატორიის ოპერატორები ნონა გოცირიძე და მზია მანუშაკიანი საანალიზო ხსნარის მომზადებისას;

ვ. გენგიურის ფოტო და ტექსტი.

მაღალი ჯილდო—ამერიკავკასიის მაგისტრალის მშრომელებს

ამერიკავკასიის რკინიგზელებმა ნახევარ მილიონ ტონამდე სახალხო-სამეურნეო ტვირთი მიიტანეს ნორმის გადაჭარბებით 1593 მძიმეწონიანი მატარებლით დანიშნულების პუნქტებში მესამე კვარტალში. მძიმე წონის მატარებლების ტარების კეთილ ტრადიციებს განაგრძობენ მშრომელები, რომლებიც ახლა მთელ რესპუბლიკაში არიან ცნობილნი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სამტრედიელმა რ. ელიაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, ლოხუმელმა ი. გუბაზმა, თბილისელმა ნ. კაკაბაძემ, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა, ერევნელმა ბ. პილოსიანმა, ლენინაკანელებმა ლ. ბეჟანიანმა და რ. არუთიანმა, აგრეთვე ბევრმა სხვამ გამოიჩინეს მაღალი პროფესიონალიზმი მუშაობის მძიმე პირობებში, რომლებიც წლის დამდეგიდან შეიქმნა, შეძლეს რკინიგზის სხვა სამსახურების კოლექტივებთან ერთად მიეღწიათ ჩინებული შედეგებისათვის.

მაგისტრალის კოლექტივმა უზრუნველყო მიმდინარე წლის მესამე კვარტალსა და ცხრა თვეში ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

მესამე კვარტალში გეგმის გადაჭარბებით მთა გადაზიდეს დაახლოებით სამასი ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, რაც 245 ათასი ტონით მეტია, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში. დამატებითი დატვირთვისათვის გამოთავისუფლებულია 3580 ვაგონი, ტვირთბრუნვის გეგმა 0,6 პროცენტის, ხოლო მგზავრთბრუნვისა — 2,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა, დაიზოგა 2154 თანასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ამ და სხვა მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის ამერიკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ცნეს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად.

რკინიგზელის სახლში გამართულ საზეიმო კრებაზე სსრ კავშირის გზათა მინისტრის მოადგილემ ა. გოლოვატინმ ამერიკავკასიის რკინიგზის კოლექტივს გადასცა სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლო ბ ის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

თავის გამოსვლაში ამხ. ა. გოლოვატინ რკინიგზელებს მიულოცა საპატიო ჯილდო და აღნიშნა მიღწეული წარმატებანი, მთელი ყურადღება მიაპყრო რეზერვებს, რომელთა ამოქმედება ბევრად შეუწყობს ხელს მაგისტრალის კოლექტივის მიერ დაკავებული პოზიციების შემდგომ განმტკიცებას.

— მთავარი რეზერვი, —თქვა მან, — სატრანსპორტო კონვეიერის ყველა რგოლის ზუსტი რიტმი, შეთანხმებულობაა. ამ რეზერვების სრული ამოქმედებისათვის უნდა განმტკიცდეს დისციპლინა ყველა უბანზე. ამას უსახავენ მიზნად რკინიგზელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

შემდეგ ა. გოლოვატინმ თქვა, რომ ამჟამად ამერიკავკასიის რკინიგზაზე წარმოეს დიდი მუშაობა შრომის, საწარმოო და სამემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისათვის.

საზეიმო კრებაზე გამოვიდა ამერიკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. ვარდოსანიძე, რომელმაც მაგისტრალის მრავალთასიანი კოლექტივის სახელით დიდი მადლობა გადაიხადა რკინიგზელთა შრომის მაღალი შეფასებისათვის.

კრებაზე წაიკითხეს მისალმებანი, რომლებიც გამოგზავნეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ბირიუკოვმა, სსრ კავშირის გზათა მინისტრმა ნ. კონარევმა, რკინიგზის ტრანსპორტისა და სატრანსპორტო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კოვალიოვმა.

საზეიმო კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დ. ქართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ხაბეიშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ანჩაბაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირ-დანიის მოლაპარაკება

31 ოქტომბერს კრემლში მოლაპარაკება გამართეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უ. ელემან-ენსენმა, რომელიც საშუაო ვიზიტად არის ჩამოსული სსრ კავშირში.

აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვისას ა. ა. გრომიკომ ყურადღება მიაპყრო ი. ვ. ანდროპოვის 28 სექტემბრის განცხადებას, რომელშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარების გამწვავების მიზეზია ამერიკის ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსი, რომლის მიზანია როგორმე მოუპოვოს ამერიკის შეერთებულ შტატებს გაბატონებული პოზიციები მსოფლიოში. განცხადებაში დადასტურებულია, რომ საბჭოთა კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ყველაფერი იღონოს, რათა თავიდან აიცილოს მსოფლიოს ბირთვული კატასტროფა, უკუღმა შეატრიალოს გამალებული შეიარაღების ჩარხი.

მოლაპარაკების დროს დიდი ყურადღება დაეთმო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემას. ამასთან ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის მხარე ჟენევის მოლაპარაკების დაწყებიდანვე აბრკოლებს პროგრესის მიღწევას, იყენებს მოლაპარაკებას შიმად თავისი ჭეშმარიტი მიზნების განსახორციელებლად — დასავლეთ ევროპაში ახალი საშუალო სიშორის ბირთვულსარაკეტო ძალების განსალაგებლად და, ამრიგად, სსრ კავშირზე სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ნათელი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს თავდაღწევას ჩიხიდან, რომელშიც მოლაპარაკება მოექცა. ამისათვის საჭიროა, რომ არა მარტო საბჭოთა კავშირმა, არამედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც ეძებოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტა ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების მხრივ ძალების წონასწორობის შენარჩუნების სამართლიან საფუძველზე. შეერთებულმა შტატებმა ხელი უნდა აიღოს იმ ცდებზე, რომ დაარღვიოს ეს წონასწორობა როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების გზით, ისე ევროპის ბირთვულ საშუალებათა ბალანსისაგან თავისი ნატოელი მოკავშირეების შესაბამისი სიშორის ბირთვულ საშუალებათა გამოკლების გზით.

ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა გაზეთ „პრავდის“ 27 ოქტომბრის კითხვებზე ი. ვ. ანდროპოვის პასუხში ჩამოყალიბებული ახალი წინადადებების დიდი მნიშვნელობა, რომლებიც კვლავ დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განახორციელოს შორს გამიზნული პრაქტიკული ღონისძიებანი, რათა თავიდან ააშოროს ევროპას ბირთვული საფრთხე, მიაღწიოს მორიგებას ბირთვული დაპირისპირების დონის არსებითი შემცირების შესახებ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპის საფუძველზე.

ამასთანავე ცხადზე უცხადესია, რომ გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდის, ევროპაში მოვლენათა საშიში განვითარების თავიდან აცილება ყველა სახელმწიფოსა და ხალხის საქმეა. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებს სურთ ანგარიში გაუწიონ თავიანთი ქვეყნების ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების ნებას, მაშინ მათ კონსტრუქციული წვლილი უნდა შეიტანონ როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული შეიარაღების შემცირებისა და ამ იარაღისაგან ევროპის სრული განთავისუფლების საქმეს, მშვიდობის შენარჩუნება-დამკვიდრებას, სახელმწიფოთა თანაშრომლობის გაფაროობას.

ა. ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 38-ე სესიაზე შეტანილი წინადადებების განხორციელება, რომლებიც ეხება ბირთვული ომის დაგმობას, ბირთვული შეიარაღების გაყინვას, კოსმოსურ სივრცეში და კოსმოსიდან დ

პარტიული ცხოვრება: მიმდინარეობს ანგარიშვებ-არჩევნები

მსჯელობენ ტყვიაველი კომუნისტები

ზეიოდბოზის ფერები მოსდებია ტყვიავის მინდვრებსა და ნაღ-ბოსტნებს, სიმწიფეს, სიუხვეს, სიმსუყეს ჰაერი გაუჟღენთია ტკბილი და საამო სურნელით. განთიადიდან განთიადამდე შრომობენ ტყვიაველები და განთიადიდან განთიადამდე მოდიან მინდვრებიდან ხვავითა და ბარაქით სავსე მანქანები.

ამას წინათ ტყვიავის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის წევრთა შესვენების საათს შევესწარი. ალბათ ბრიგადის წევრები წაიკითხავენ ამ სტრიქონებს და დამეთანხმებიან, როგორმა ურთიერთგაგებამ, დაჯერებამ, რწმენამ და კეთილგანწყობილებამ დაისადგურა მაშინ ჩვენს შორის. სახელმწიფოებრივი აზროვნების დონემდე იყო ამაღლებული მათი ნათქვამი შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების, პატრიოტიზმისათვის ზრუნვის, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ.

ვიდექი მათთან ერთად და არაცკი შემომჩნეულა, როგორ გაიპარა შესვენების დრო თვალსა და ხელს შუა. არც ერთი ძლიერი სპექტაკლი, კინოფილმი თუ ემოციურად დატვირთული კარგი ლექცია არ იმოქმედებდა ჩემზე ასე ძლიერად, როგორც ამ შეხვედრამ საოცრად მაღალი სულის, მოქალაქეობრივი მრწამსისა და ცხოვრებისეული პოზიციის ადამიანებთან.

— კიდევ ჩამოდით ჩვენთან,— გულწრფელად რთხოვა კომუნისტმა, შრომის ვეტერანმა ოლღა ძამელაშვილმა.

— კიდევ ჩამოდით! — მოგვაძახეს ხელების ქნევით სანახებსაკენ მიმავალმა ბრიგადის სხვა წევრებმაც.

ეს სიტყვები ეკუთვნოდა ყველას, რადგან კეთილმოსურნე ადამიანისათვის ყოველთვის ღიაა ამ სოფლის კარი და აქაურების გული.

ასეთივე გულმხურვალე ხალხი დაგვხვდა მეოთხე ბრიგადაშიც. მათს მზით გაოჭჯულ სახეს მომხიბლავი ნათელი დასდგომოდა, სიცოცხლისა და სიხარულის შუქს აფრქვევდა ირგვლივ. მათი საქეიფო საქმე მოჩანდა ხილითა და ბოსტნეულით სავსე კალათებში და ყუთებში.

ამაყობენ, დიახაც, სამართლიანი ადამიანური სიამაყით აღსავსენი არიან, რომ სოფელი, რომელმაც 11 წლის წინათ წამოიწყო დიდი საქეიფო საქმე—დაემყარებინათ სანიმუშო სახელმწიფო და შრომის დისციპლინა — დღეს ასეთ სიმაღლეებს აღწევს. ათი წელია სოფელს სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვების დროშა ძირს არ დაუხრია და ამაყად მიაფრიალებს ახალ-ახალი წარმატებებისაკენ.

მიმდინარე სამეურნეო წელს კოლმეურნეობამ ხილის მოსავლიანობის გეგმა დიდი ხანია გადაჭარბებით შეასრულა, კვლავ აკრიფება ხილი. მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების დავალებაც გადაჭარბებულია (ხორცის გეგმა 132 პროცენტით შესრულდა, მატყლისა — 196 პროცენტით). კვლავ ბარდება პროდუქცია. გრძელდება ხახვის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებაც. (მარცვლეულის ჩაბარების გეგმა 130,ჩ პროცენტით შესრულდა, ლობიოსი — 118).

სოფლის ასეთ თაგვამოჩენაში, მოსახლეობის ერთსულოვნებაში და ქვეყნისათვის სასახელო საქმეების კეთებაში დიდი წვლილი შეაქვთ სოფლის კომუნისტებს— ენერგიულ და დაუცხრომელ ადამიანებს, მეწინავეებს, მაგალითის მიმცემთ, ავტორიტეტებს.

იმ დღეს ტყვიაველ კომუნისტებს თავიანთი საქმიანობის შეჯამებელი შეკრება ჰქონდათ. აბარებდნენ ანგარიშს ერთმანეთს, სოფელს, რაიონს, რესპუბლიკას.

ეს მეტად საგულისხმო, საყურადღებო და პრინციპული საუბარი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყვიაველებმა უმეტეს მაჩვენებელთა მიხედვით დასახული მიზნა გადალახეს, სოციალური და კულტურული განვითარების ბევრი საკითხიც მოაგვარეს (სკოლის რემონტი დაამთავრეს, ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყეს, მომავალი წლისათვის მწყობრში ჩადგება თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი საავადმყოფო, კაპიტალურად შეკეთდა სოფლის კლუბი, კეთილმოწყეს სოფლის გზები, ამ დღეებში გიახსნება საკოლმეურნეო ფუნეუმი და სხვ.), კომუნისტების საუბრის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მაინც იყო მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, მატერიალური და შრომითი რესურსების ძიება, ჯერ კიდევ არსებული ნაკლისა და ანომალური მოვლენების აღმოფხვრა და დაძლევა.

როგორც ცნობილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ტყვიაველთა თავდაუზოგავი შრომა სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის. ეს იყო ამ პროგრამის განხორციელების სისტემური მართვის შედეგად მიღწეული წარმატებები. მაგრამ მიღწეული საბოლოო მიზნა არ არისო, და საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში კიდევ უფრო აქტიურ მონაწილეობასთან ერთად დათქვეს: ოჯახმა თავისი მოთხოვნილება თითონ დაიკმაყოფილოსო თავისი საკარმიდამო ნაკვეთიდან.

ისიც ცნობილია, მთიანი ზონის ათვისების პატრიოტულ მოძრაობაში რომ ჩაებნენ ტყვიაველები. ამ მხრივ ახალი რეზერვების გამონახვა და საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლა დაისახეს მიზნად კომუნისტებმა. კვლავაც მოიწონეს სოფლის მშრომელთა ყრილობაზე მეორე ბრიგადის ინიციატივა, რომელსაც მთელმა სოფელმა დაუჭირა მაშინ მხარი: თუ ოჯახის რომელიმე წევრი შრომის დისციპლინას დაარღვევს, შრომისუნარიან სხვა წევრებსაც ჩამოერთმევა პრემიის მიღების უფლება.

ტყვიაველები ხომ ხუთწლედს ოთხ წელიწადში შეასრულებენ ყველა მაჩვენებლის მიხედვით. რა გააკეთა ამ დიდი წარმატებების მისაღწევად პარტიულმა ორგანიზაციამ, რა არის საჭირო საბოლოო მიზნის მისაღწევად — ყოველივე ეს საანგარიშო მოხსენებაში ღრმად იყო გაანალიზებული, მოყვანილი იყო დადებითი და უარყოფითი მაგალითები, დასასახელეს გვარები, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს გადაუჭრელ პრობლემებზე, მიუთითეს კომუნისტმა ავანგარდული როლის გაზრდის გზები და მიმართულებანი.

პარტიული კომიტეტისა და კომუნისტების სასახელოდ უნდა ითქვას და ამის შესახებ ილაპარაკეს კიდეც კრებაზე, ტყვიაველებმა ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს იდეოლოგიური მუშაობის ახალი ფორმების დანერგვა, რომელიც ითვალისწინებს დასახული სამეურნეო, სოციალური და კულტურული განვითარების ამოცანების ახსნა-განმარტებასა და ამ ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვისათვის შრომითი კოლექტივის ქვედანაყოფებში დიდი და სეროზული მუშაობის გაწევას — ინდივიდუალური და მასობრივი ფორმების მაქსიმალურად გამოყენებას. პოლიტიკური - ორგანიზატორების უშუალოდ ცხრაე ბრიგადაში გამოყოფამ იდეოლოგიური მუშაობის 10 მიმართულების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შემდეგ გასულ პერიოდში თავისი შედეგი გამოიღო. ორგანიზატორთა ხელმი თავი მოიყარა მიმართულებების მიხედვით ყოველკვირეულ მუშაობამ. პოლიტორგანიზატორთა ქსელს უძღვება პარტიული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე იდეოლოგიის დარგში, და ახლა პარტიულ კომიტეტს, საბრიგადო პარტბიუროებს საშუალება აქვთ ყოველდღიურ საქმის კურსში იყვნენ დასახული ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ ქვედანაყოფებში. ქმაყოფილებთ აღნიშვნდნენ ამას სიტყვაში გამომსვლელები: მეორე ბრიგადის ბრიგადირი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კომუნისტი ვიქტორ გიგუაშვილი, რომელიც თითონ არის სოციალისტური შეჯიბრების აღმზრდელობითი როლის შემდგომი გაძლიერების საქმის. პოლიტიკური ორგანიზატორი, რიგითი კოლმეურნე დალი ელბაქიძე, მთავარი ზოოტექნიკოსი ამირან ლაფაჩი და სხვები.

ტყვიაველებს ძალიან მოსწონთ მშრომელთა კატეგორიების მიხედვით აღმზრდელობითი მუშაობის ახალი ფორმაც — პარტიულ კომიტეტთან შექმნილი ბჭობის ოარბაზი (დარბაზის გამგებელი— სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზურაბ მაკასარაშვილი). ბჭობის დარბაზი დაყოფილია იმდენ კუთხედ (11), რამდენი კატეგორიის მოსახლეობაც ცხოვრობს ტყვიავში.

მეხილეთა შორის მუშაობის კუთხის ხელმძღვანელი კომუნისტი გ. ტერტერაშვილი თავის წევრებთან ერთად უკვე იყო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, ისინი შეხვდნენ მეხილე სპეციალისტებს, მიიღეს სათანადო კონსულტაციები მეხილეობაში ახალი მეცნიერული მიღწევების შესახებ, და გადაწყვიტეს გაშალონ ფართო ახსნა--განმარტებითი მუშაობა ინტენსიური ხეხილის ბაღების გასაშენებლად (პერსპექტიული ჯიშების: „გოლდენ დელიშესი“, „რედდელიშესი“, „ჯონატანი“ და სხვ.).

მემინდვრეთა შორის მუშაობის კუთხემ (გამგებელი კომუნისტი მ. ჩიხლაძე) გაიზიარა ყაბარდოელ-ბალყარეთის ასსრ მაისკის რაიონის სოფელ კოტლიარევსკის მემინდვრეთა გამოცდილება, რომლებმაც თავიანთან კულტურების საჰექტარო მოსავალი 60 ცენტნერამდე გაზარდეს (ტყვიაველები ღებულობენ 36 ცენტნერს). კუთხის გადაწყვეტილებაა თითოეულ მემინდვრეს გააცნონ ჰექტარობრივი მოსავლის მკვეთრად გაზრდის მნიშვნელობა.

მიუხედავად კუთხეთა უმრავლესობის ნაყოფიერი მუშაობისა, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ დარბაზის წევრთა — დარბაისელთა საკრებულომ გამარჯვება არგუნა დიასახლისთა და პენსიონერთა შორის მუშაობის კუთხეს (გამგებელი — ნ. ბასიშვილი) და საზეიმო ვითარებაში გადასცა ბჭობის დარბაზის სიმბოლური, ლამაზი გასაღები.

საყურადღებო იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარის რობინზონ ჩიხლაძის გამოსვლა, რომელმაც შემდეგ საკითხებს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება: კომუნისტთა სიტყვა საანგარიშო კრებაზე ეს არის მშობლიური პარტიისა და ქვეყნის წინაშე მიცემული პირობა. ამიტომ საჭირო იქნება უფრო გაძლიერდეს თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობა მეტად დაძაბული სასურსათო პროგრამის შესრულებაში შემდგომი წარმატებების მისაღწევად, სამეურნეო საქმიანობის მაღალი დონისა და ზრდის ტემპის დასაჩქარებლად, რესპუბლიკაში დაწყებული დიდი მოძრაობის — ბოის სოფლების აღორძინების საქმეში კომუნისტთა ორგანიზატორული და პროპაგანდისტული როლის გასაძლიერებლად. კომუნისტები პირველები უნდა წაიღიონ ბოაში და გაიკონლონ დიდი საქმეების წარმატებით დასაგვირგვინებლად მშრომელთა ფართო მასები.

მან სასიხარულო ამბავი ამცნო კომუნისტებს: ტყვიაველთა თავდადებული შრომით წელს მიღებული იქნება 10.000 ტონა ხილი (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 ათასი და ვალდებულებით ნაკისრი 8.000 ტონისა).

ასეთივე სარეკორდო მოსავლის მიღება მართებთ ტყვიაველებს სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც, რაც დიდად არის დამოკიდებული კომუნისტთა წინამძღოლობაზე და მათს პირად მაგალითზე. და ახლადარჩეულ კომიტეტის წინაშე მან დააყენა კომუნისტთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის საკითხი,

კომუნისტ რ. ჩიხლაძის გამოსვლას მხარი დაუჭირეს მთავარმა აგრონომმა გ. ტერტერაშვილმა, ვეტერანმა კომუნისტმა დ. საამიშვილმა, და ისიც აღნიშნეს, რომ მარტო ტყვიაველთა თავდადება საკმარისი არ არის, მთას დახმარება სჭირდება, საჭიროა მეცხოველეობის პროდუქტების ბარში ჩამოტანის უზრუნველსაყოფად საბაგირო გზის მშენებლობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახლად შემოერთებული და ასათვისებელი ტერიტორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

კომუნისტებმა დააყენეს საკითხი ხიდობსტნეულის დამზადების სამინისტროს წინაშე ხილის სარეკორდო მოსავლის მიღებასთან დაკავშირებით ოპერატიული მუშაობის გაშლის შესახებ (სიმძლავრეთა გაზრდისა და გაფართოების მიზნით), რათა უზრუნველყოფილი იყოს სწრაფფუჭადი პროდუქციის შეუფერხებლად მიღება. მოითხოვეს აგრეთვე ტარით კოლმეურნეობის უზრუნველყოფაც.

კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მარინე ბესტავაშვილმა ილაპარაკა თავისუფალი დროის უფრო გონივრულად გამოყენების, მოსახლეობის ახალი მხატვრულ და პოლიტიკური ლიტერატურით უზრუნველყოფის შესახებ.

ყველაფერს განწყობილება ქმნისო, ამბობდნენ კომუნისტები. უფრო მეტის შექმნის, უფრო მეტის გაკეთების საშუალებას იძლევა კარგი გუნება-განწყობილება, კარგი ურთიერთობა და ერთმანეთისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება. ამიტომ პარტიული კომიტეტის წინაშე დააყენეს საკითხი თანასოფლელთა წამოყენებული არც ერთი წინადადება, პრობლემა არ დარჩეს უყურადღებოდ, რეაგირების გარეშე, გაეცეს მათ ამომწურავი, გარკვეული და დამაჯერებელი პასუხი — დადებითი იქნება ეს თუ უარყოფითი, ამის მაგალითად დაასახელეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის რ. ჩიხლაძის დღენიადაგ მთაში და მინდორში ადამიანებთან ყოფნა, მათთან გულახდილი საუბარი და საქმიანი ურთიერთობა.

საჭირო იქნება სოფლის ხელმძღვანელი მუშაკთა ხშირი გამოსვლა მშრომელთა წინაშე და თითოეული ადამიანის შრომითსა და პირად ცხოვრებაში ღრმად ჩახედვა — ეს საკითხიც ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო საანგარიშო კრებაზე.

ამ წერილში ყოველივე იმის დაწერა შეუძლებელია, რაზეც ხმამაღლა, პირუთვნელად და პირდაპირ ლაპარაკობდნენ კომუნისტები ეკონომიკური და სოციალური განვითარების საქმეში წარმატების გასამრავლებლად, რესპუბლიკაში გაჩაღებული დიდი შრომითი ენთუზიაზმის უფრო აქტიურად მხარის დასაჭერად, საყოველთაოდ აღიარებული სოფლის სახელისათვის ბოლომდე საბრძოლველად.

საანგარიშო კრება დამთავრდა. კომიტეტის სხდომაც გაიმართა. პარტიის გორის რაიკომის მდივნები ვ. აბრამიშვილი, ნ. ჯოჯუშვილი, გ. ლაზარაშვილი, აგრისამრეწველო გიერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გ. აბალაკი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ჩიხლაძე და ისევ პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეული დ. მაჭავარიანი დიდხანს მსჯელობდნენ საანგარიშო კრების შედეგებზე, პარტიული კომიტეტის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის საქმეში კომუნისტთა ავანგარდული როლის გაზრდის საკითხებზე.

ამ საუბრის დროს პარტიის რაიკომის მდივანმა ვ. აბრამიშვილმა სამჯერ გაუმეორა შეკითხვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს რ. ჩიხლაძეს:

— მაშ, იქნება ხილის სარეკორდო მოსავალი, არა? შეფერხება ხომ არ არის მოსალოდნელი დასახული მიზნის მიღწევაში?

— ყველაფერი გათვლილია, ყველაფერი გაანგარიშებულია. იქნება სარეკორდო მოსავალი!— დაბეჯითებით უპასუხებს რაიონის პარტიული ხელმძღვანელის კითხვას სოფლის თავკაცი.

... საღამოს ბინდში ისევ იფრქვეოდა შემოდგომის სურნელი და ისევ ანათებდა ნაირფერები. ქვეყნის სასახელო საქმეს მიჩვეული ტყვიაველები ისევ მინდორს იყვნენ მოფენილნი. სოფლის კომუნისტებისა და მათი ხელმძღვანელების ბაგე იქით მიდიოდა...

თინა ზარგინავა.

შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვი

1983 წლის 31 ოქტომბერს უეცრად გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვი. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ამ თვალსაჩინო მოღვაწემ მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს.

შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვი 1917 წლის 6 ნოემბერს დაიბადა უზბეკეთის სს რესპუბლიკის ქალაქ ჯიზაკში, ლატაკი გლეხის ოჯახში. სკკპ წევრი იყო 1939 წლიდან. დაამთავრა სამარყანდის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. შრომითი საქმიანობა 1935 წელს დაიწყო მასწავლებლად. წლების განმავლობაში იყო ჟურნალისტურ სამუშაოზე.

1941 წლის აგვისტოდან იგი კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე იმყოფებოდა საბჭოთა არმიაში, მონაწილეობდა ბრძოლებში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. 1943 წლიდან მძიმედ დაჭრის შემდეგ დემობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიიდან და მუშაობდა სამარყანდის საოლქო გაზეთის რედაქტორად. 1944 წელს აირჩიეს პარტიის სამარყანდის საოლქო კომიტეტის მდივნად. 1947 წლიდან იყო რესპუბლიკური გაზეთის „კიზილ უზბეკისტონის“ რედაქტორი, შემდეგ —უზბეკეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. 1950-1959 წლებში შ. რ. რაშიდოვი იყო უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და 1961 წლამდე —სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. 1970 წლიდან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი.

1959 წლის მარტიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შ. რ. რაშიდოვი უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე იმყოფებოდა. პარტიის XX ყრილობაზე იგი აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, ხოლო XXII-XXVI ყრილობებზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1961-1966 წლებში იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, 1966 წლის აპრილიდან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი. შ. რ. რაშიდოვი იყო სსრ კავშირის III-X მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პარტიული, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეობის ყველა უბანზე შ. რ. რაშიდოვი იჩენდა კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას, შეუპოვრობასა და სიმტკიცეს პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში. მას ახასიათებდა სიაბლის ალღო, უნარი — შემოქმედებითად გადაეწყვიტა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების საკითხები, დაერაზმა და წარემართა ადამიანები. თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის სათავეში ყოფნისას მან მთელი თავისი მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ორგანიზატორული ნიჭი მოახმარა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. ამ წლების მანძილზე უზბეკეთის სს რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები, მსხვილი, მექანიზებული გახდა სოფლის მეურნეობა. უზბეკეთი გადაიქცა ქვეყნის ძირითად მეგამბეობის ბაზად.

შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვი იყო ცნობილი საბჭოთა მწერალი და პუბლიცისტი. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი რომანები, მოთხრობები, თეორიული ნაშრომები ლიტერატურის, ხალხთა ინტერნაციონალური აღზრდისა და მეგობრობის აქტუალურ პრობლემებზე. იგი იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი ღვაწლისათვის შ. რ. რაშიდოვს ორგზის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. მისი მოღვაწეობა აღინიშნა ბევრი სახელმწიფო ჯილდოთი: ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის, მგზნებარე პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის შარაფ რაშიდის ძე რაშიდოვის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

ი. ვ. ანდროპოვი, ბ. ა. ალიევი, მ. ს. გორბაჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ვ. ი. ვორონინკოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, მ. ვ. ზიმიანინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ნ. ი. რიჟკოვი, კ. ვ. რუსაკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ე. აიტმურატოვი, ი. ბ. ანისიმოვი, ი. პ. მაქსიმოვი, ვ. კ. მიხაილოვი, მ. მ. მუსახანოვი, ტ. ნ. ოსეტროვი, ა. უ. სალიმოვი, ი. ბ. უსმანხოჯაევი, ნ. ფ. ხუდაიბერდიევი, კ. კამალოვი, ნ. მ. მახმუდოვა, უ. უმაროვი, რ. აშურალიევი, რ. ბ. ბაიკოვი, ვ. პ. ესინი, მ. კამალოვი, ა. კარიმოვი, ა. კ. კარიმოვი, ს. მამარასულოვი, ხ. უმაროვი, კ. ა. შაბაზატოვი, ვ. ა. ხაიდუროვი, მ. ხუდაიბერგენოვი, ბ. მ. მარკოვი, ა. ს. სადიკოვი, ხ. რუსტამოვა, დ. იუსუპოვი, ნ. პ. ჟელეზნოვი, ს. ა. აზიმოვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დიდი ამოცანები, პერსპექტივები

დღევანდელობის გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად სახალხო ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციული, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ძირეული გაუმჯობესების გზები განსაზღვრა აგგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურმა კრებამ, რომელმაც განიხილა სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა მიხედვით მათი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები.

ამ ამოცანების შესრულების ღონისძიებათა გეგმა დამტკიცდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე. იგი, კერძოდ, ითვალისწინებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, რესპუბლიკური კრების შედეგების განხილვას, კრების მასალების, ამ კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესწავლას სპეციალურ მეცადინეობაზე რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა მშენებლობის ორწლიან სკოლებსა და დეპუტატთა სკოლებში, სახალხო დეპუტატთა საბჭოთა საოფლო საბჭოების დათვალიერება-კონკურსის მოწყობას. გეგმაში შევიდა მთელი რიგი სხვა პრაქტიკული ღონისძიებანიც, რომელთა მიზანია ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლება, მშრომელთა და მოსახლეობას შორის ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკური კრების პლენარული და სექციური სხდომებზე გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და სურვილების რეალიზაციის საკითხი. მიღებულია გადაწყვეტილება ღონისძიებათა განსახორციელებლად ისინი გაუგზავნონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ოპერატიულად და სქმიანად რეაგირებს რესპუბლიკური კრების მონაწილეთა წინადადებებსა და შენიშვნებზე, რომლებიც ამ სამინისტროში გამართულ შეხვედრის დროს გამოითქვა. ადგილობრივი მრეწველობის, ვაჭრობის, იუსტიციის, განათლების სამინისტროებმა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, ცეკავშირის გამგეობას რეკომენდაცია მიეცათ განიხილონ კრების მონაწილეთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სხდომაზე განხილულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ენერგეტიკის კომისიის ინფორმაცია რესპუბლიკაში სათბობისა და თბოენერგიის მოხმარებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მათი ეკონომიური ხარჯვის ამოცანების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში კონკრეტული დავალებანი მიეცათ რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შესული მშრომელთა წერილების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილების მოთხოვნათა შესრულებისათვის. აღინიშნა, რომ აღმასკომი ახორციელებს დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციისათვის. სხდომის მონაწილეებმა ამავე დროს აღნიშნეს მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში. ითქვა, რომ ჯერ კიდევ არის მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დაგვიანების, მათში დასმული საკითხების გადაწყვეტის გაუმართლებელი გაჭიანურებისა და მოქალაქეთათვის მიცემული დაპირებების შეუსრულებლობის ფაქტები. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, ხაზგასმით აღნიშნეს გამოსულებმა, უნდა გამოიჩინოს მომთხოვნელობა შესაბამისი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ მშრომელთა წინადადებების რეალიზაციისათვის, მაქსიმალურად გამოიყენოს დეპუტატთა და მუდმივ კომისიათა შესაძლებლობანი მოქალაქეთა წერილებში, განცხადებებსა და საჩივრებში აღძრული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტის დროს.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთა გამო მიღებულია შესაბამისი დადგენილება. (საქინფორმი).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავისათვის ვალდებულებას წარმატებით ასრულებს მოწინავე საწარმოს — თბილისის „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების ქარხანა „მიკროძრავის“ კოლექტივი.

სადღესასწაულო ვახტის დამკვრელთა შორის არიან საინსტრუმენტო საამქროს მხეზავი ავთანდილ ხაჩიძე, მეინსტრუმენტე ზეინკალი ნოდარ მამრაში, მეინსტრუმენტე ხარატი კუკური შარვაშიძე და სხვები.

სურათზე: „მიკროძრავის“ საამწყობო-საგრაგნილე საამქრო.

შ. აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მექანიზაცია საკარმიდამოში

ჩვენი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში საზოგადოებრივ მეურნეობებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ პირად დამხმარე მეურნეობებს. საზოგადოებრივ მეურნეობებს ეკალებათ საკარმიდამო მეურნეობებისადმი დახმარება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებაში, როგორიც არის პირუტყვის ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება, ხელოვნური დათესვა, საკვებითა და ჯიშიანი პირუტყვით მომარაგება. მაგრამ მეურნეობებს საშუალება არა აქვთ მოსახლეობას დაეხმარონ მცირე ელექტრომექანიზაციის საშუალებებით, რომლებიც მკვეთრად შეამცირებდნენ ხელის შრომას.

ბოლო ხანს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში დიდი ყურადღება ეთმობა მცირე ფერმებსა და პირად მეურნეობებში ხელის შრომის შემამსუბუქებელი მცირე ელექტრომექანიზაციის საშუალებების შექმნას, კერძოდ, დამუშავდა ფურების ინდივიდუალური საწველი აგრეგატები, რომლებიც ასრულებენ წველას, თბილი წყლით ცურის მობანვას, ფურების მექანიკურ წმენდას, შენობანაგებობათა დეზინფექციას და შეთეთრებას. აგრეგატი შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე ბაღებსა და ვენახებში შხამ-ქიმიკატების შესასხურებლად.

აღნიშნული დანადგარის ბაზაზე რეზერვის ქარხანამ დაიწყო გამოშვება აიდ-1 ტიპის აგრეგატისა, რომელიც ასრულებს მხოლოდ წველას. ამჟამად აღნიშნული აგრეგატი შემოაქვთ ჩვენს რესპუბლიკაშიც. მისი რეალიზაცია ხორციელდება „ცეკავშირის“ სისტემაში. ერთი აგრეგატის ღირებულებაა 116 მანეთი და 50 კაპიკი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური საწველი აგრეგატების რეალიზაცია სტიქიურად ხორციელდება. მათ შესახებ ცო

კვიპროსის კუნძულის ივერთა სიძველენი

როგორც გაზეთი „კომუნისტი“ 20 ოქტომბრის ნომერში თავის მკითხველებს დაპპირდა, ჩვენს წერილში წარმოვადგენთ ზოგიერთ ცნობას, ქართულ-კვიპროსული ურთიერთობის იმ ნაკვეთებზე კვალის შესახებ, რომლის გამოვლენა შესაძლებელი გახდა კვიპროსში ჩვენი სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგად.

თავისებური მდებარეობის გამო სამი კონტინენტის — ევროპის, აფრიკის და აზიის მიჯნაზე კვიპროსს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა მრავალმხრივი, მრავალფეროვანი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყანასთან და ხალხთან. იმ ხალხთა შორის, რომელთაც ჰქონდათ კვიპროსთან კავშირი, ყოფილან ქართველებიც.

ეს კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება XI-XII საუკუნეებში, როდესაც მძლავრი პოლიტიკური და კულტურული ალმაყლობის გზაზე დამდგარი საქართველო აქტიურ საგარეო პოლიტიკას ადგება. ამ პერიოდს ეკუთვნის ქართველი მეამტანიანის ცნობა, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებელმა „ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისაცა, მთაწმიდისა და ბერღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა... აღავსნა კეთილითა“.

ამ პერიოდში უნდა ვივარაუდოთ, უთუოდ, კვიპროსზე საგანგებო ქართული სავანის დაფუძნება, რომელიც „ღალიას“ (ან „ქალიას“) სახელით არის ცნობილი.

კვიპრეს ქართული „სანახები“ და მათ მიმართ თამარ მეფის მზრუნველობა მოხსენიებულია ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში, ხოლო მეორე ისტორიული თხზულების „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ავტორი გვაუწყებს თამარის მიერ ღალიის „კვალად შემკობას“ და მონასტრის ადგილ-მამულს გაფართოებას. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, თამარს კვიპროსული მონასტრისათვის შეუძენია „მეტოქი“, ესე იგი, მცირე მონასტერი და მამული, თავისებური ფილიალი კონსტანტინოპოლში, შეუქმნია, ამგვარად, საქართველო-კვიპროსის დამაკავშირებელი თავისებური ეკონომიკურ-ადმინისტრაციული რგოლი. აღნიშნული აქციები, არსებითად, იმ აქტიური და მიზანდასახული პოლიტიკის გამოვლენაა, რომელიც ამოცანად ისახავდა გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური ფორპოსტების შექმნას, პოზიციის ადგილის პოვნას იმ რთულ ისტორიულ პროცესებში, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთში იწვევდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა ტალღა.

ღალიაში შესრულებული XI-XII საუკუნეების ხელნაწერის არსებობა ადასტურებს, რომ იგი ჩამოყალიბდა, აგრეთვე, როგორც კულტურული, მწიგნობრული კერა. ადგილობრივი, კვიპროსული ცნობებით მისი წლიური შემოსავალი 300 ოქროს დუკატს, რომელიც უტოლდებოდა კვიპროსის ყველაზე დიდი — ეგრეთ წოდებული კიკოს მონასტრის შემოსავალს.

რომის პაპის კლემენტ V-ის 1306 წლით დათარიღებული დოკუმენტში, სხვა ორი ბერძნული მონასტრის“ გვერდით მოხსენიებულია ქალაქ ხრისოხუს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მონასტერი იალია, რომელსაც ჯერ კიდევ ქართველი წინამძღვარი მართავს. 1461 წელს კვიპროსის ფრანგი მმართველების შინაომების, დინასტიური კონფლიქტების ვითარებაში მონასტერი დაურბევია მეომართა ერთ-ერთ რაზმს. რას წარმოადგენდა ამ დროს მონასტერი, როგორი იყო მის ბინადართა შემადგენლობა, ამის შესახებ არაფერია ცნობილი. ყოველ შემთხვევაში XVIII საუკუნეში კვიპროსზე ჩამოსულ ქართველ მწერალსა და მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს არ ხვდება არავითარი ცნობა აქ რაიმე ქართული სავანის ან მისი კვალის არსებობის თაობაზე...

კვიპროსის ძველქართულმა კერამ, რომელსაც მივაკვლიეთ გასულ წელს პაფოსის რეგიონში, მთებში, იალიად წოდებული სამი სოფლის რკალში, ჩვენს დრომდე, სამწუხაროდ, ნანგრევთა სახით მოაღწია. ჩვენს საუკუნეში ტაძარი ჯერ კიდევ მყარად მდგარა, რადგან 1935 წლამდე მოქმედებდა, როგორც ბერძნული სავანე, მაგრამ მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1953 წლის უმძლავრესი მიწისძვრა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ეკლესიის უმეტესი ნაწილი. მოღწეული ნანგრევების მიხედვით მაინც საკმაოდ შესაძლებელია მისი არქიტექტურული ტიპის, კომფიგურაციის, მასშტაბების წარმოდგენა. აზომვა გვიჩვენებს, რომ იგი წარმოადგენდა სამაბსიდიან ეგრეთწოდებულ ტრიჭონქს. საკურთხეველისა და მასთან, შეერთებული აბსიდების ზომები გვიდასტურებს მასშტაბს დიდი ეკლესიისა, რომელიც კარგად გათლილი და დამუშავებული ქვით ყოფილა ნაგები. კედლების ნაშთებზე ჩანს ფრესკების ფრაგმენტები, რომლებზედაც გამოსახულია სახარების ცალკეული სცენები, ნატიფი ტექნიკით, ნათელი ფერებით შესრულებული. ფრესკის ერთ ფრაგმენტზე, რომლის ქვედა ნაწილი მიწისქვეშ არის მოქცეული, ჩანს რომელიღაც წმინდა მეომრის ფიგურა... ის, რომ ჩვენს წინაშე სწორედ ღალიაა, კვიპროსის ცნობილი ქართული სავანე, ადასტურებს ქართული წარწერა მონასტრის ერთ-ერთი თაღოვანი შენობის, სამრეკლოსა თუ კარიბჭის ნანგრევზე, მისი ექვსი ქვის ასომთავრული წარწერა-თაგან მკაფიოდ იკითხება მხოლოდ ერთი: „ნიკოლოზს შეუნდონ ღმერთმან“. წარწერების და ფრესკების ნაშთები, შეიძლება, აღმოჩნდეს არქეოლოგიური ძიების შედეგად ნაგებობის მიწით დაფარულ ნაწილებზეც. შემდგომმა კვლევამ შეიძლება გამოავლინოს საინტერესო მასალა არა მარტო აღნიშნული ნაგებობის ფარგლებში, არამედ მის შემოგარენში, რადგან აქ, როგორც ჩანს, არსებობდა მთელი სამონასტრო კომპლექსი. ამას გვიდასტურებს რამდენიმე წუთის სავალზე კიდევ ერთი ნაგებობის ნანგრევები, რომელთაც ადგილობრივი მცხოვრებნი წმ. ნიკოლოზის ეკლესიას უწოდებენ. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ლენინგრადში დაცული, XII საუკუნით დათარიღებული ვრცელი ქართული ხელნაწერი ანდერძი, რომლის ავტორი გვაუწყებს, რომ ეს წიგნი დაიწერა „კვიპრეს ქართველთა მონასტერს ყალიას არა ხოლო შინა, არამედ ორ მილიონ შორს მონასტრისაგან“. ვინ იცის, იქნებ სწორედ აქ, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში?

სოფელ იალიის მცხოვრებნი გვაუწყებენ, რომ მთავარ ნაგებობას უწოდებდნენ წმინდა მამაის სახელობის ეკლესიას. ეს ბუნებრივად მოგვეჩვენა, რადგან აქედან სულ ახლოს, ქ. მორფუში არის წმ. მამაის მთავარი სალოცავი, მისი საფლავი და წმინდა ნაწილები, და იმიტომაც, რომ ეს წმინდანი საქართველოს მეუბნელი მხარიდან — პაფლაგონიიდან, პოპულარული ყოფილა ჩვენშიც (გავიხსენოთ ცნობილი ეგრეთ წოდებული გელათური ტონდო ლომზე ამხედრებული წმინდანის გამოსახულებით).

წმ. მამაის ეკლესიას ჩვენ წავაწყდით სოფელ ალამინოსშიც, სადაც ისტორიული ცნობით XIV საუკუნეში ქართული კოლონია ყოფილა. ადგილზე გამოირკვა, რომ ახლანდელი ალამინოსი შედარებით ახალი დასახლებაა და აქაური წმ. მამაის ეკლესია თავისი ლოკალური ლეგენდებით ჩვენი ინტერესების თვალსაზრისით არ იყო რაიმე იმედის მომცემი. სამაგიეროდ მოხუცებმა მიგვითითეს სოფელ ალამინოს იმ ძველ ადგილმდებარეობაზე, ნასახლარზე, სადაც მართლაც აღმოჩნდა წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები, მარმარილოს სვეტის ნაწილი, რომელიც მეტყველებს, რომ აქ ოდესღაც დიდი ტაძარი მდგარა.



წმ. გიორგის კულტთან დაკავშირებით, რომელიც კვიპროსზე მეტად პოპულარულია, ყურადღების ღირსია, ჩვენი აზრით, იკონოგრაფიული პარალელები. ბევრი საინტერესო პარალელია ქართულ-კვიპროსულ არქიტექტურაში, რაც, ალბათ, როგორც კონტაქტების შედეგი, ასევე საერთო ტიპოლოგიის გამოხატულებაა.

საქართველოს კონტაქტებს კვიპროსთან უფრო გვიანდელ პერიოდში ადასტურებენ ყველაზე დიდი სამონასტრო ცენტრის — კიკოს რელიკვიები, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს მონასტრის მთავარ ხატზე ჩამოფარებული, ოქროქარგულობით დამშვენებული დაფარნა, რომელიც კიკოსთვის მიუძღვნია საქართველოს მეფეს ერეკლე II-ს. ადგილობრივ მესვეურთა სიტყვით, ამჟამად საცავში ინახება მეორე ქართული დაფარნა, რომელიც 1962 წელს უნახავს კიდეც ო. გიგინეიშვილს კვიპროსის ქართულ სიძველეთა შესწავლისას.

ზემთ ჩამოთვლილ და სხვა მასალას გვინდა მოვუყაროთ თავი სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში, რომლის გადაღება დაგეგმილია ამ წელს პროფესორ ალექსანდრე ალექსიძესთან და კინოოპერატორ ლომერ ახვლედიანთან ერთად და რომელშიც თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ქართულ-კვიპროსული მრავალსაუკუნოვანი სულიერი ურთიერთობა.

ა. მიქაბერიძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხმელთაშუა ზღვის კულტურათა შემსწავლელი ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — კიკოს მონასტრის ქართული დაფარნა, მარჯვნივ — ღალიის ქართული წარწერის ნაშთებიანი სვეტი.

გამოჩენილი მეცნიერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი

აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძის 80 წლისთავის გამო



გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, აკადემიკოს ვიქტორ კუპრაძეს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა.

ვ. კუპრაძე ფართოდ ცნობილი საბჭოთა მათემატიკოსი და მექანიკოსია, ერთ-ერთი პირველთაგანია იმ მეცნიერთა შორის, რომელთა უშუალო მეცადინეობის შედეგად ჩამოყალიბდა, განვითარდა და ფართო აღიარება მოიპოვა ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ეროვნული მეცნიერებისა და მშობელი ხალხისადმი კეთილნაყოფიერი და თავდადებული სამსახურის შესანიშნავი მაგალითია.

ვიქტორ კუპრაძე დაიბადა 1903 წლის 2 ნოემბერს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ყელაში, რკინიგზელის ოჯახში. ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1922 წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ვ. კუპრაძემ სტუდენტობის წლებშივე მიიპყრო პროფესორ-მასწავლებლთა ყურადღება თავისი მათემატიკური ნიჭითა და მეცნიერული კვლევის გამორჩეული უნარით. სტუდენტობის წლებშივე ჩაება იგი აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში. სხვადასხვა დროს რედაქტორობდა კომკავშირულ გაზეთებს „იუნოშესკაია პრავდას“, „მოლოდო რაბოჩის“, „ახალგაზრდა კომუნისტს“ და ჟურნალ „აქტივისტს“, იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი და სასკოლო განყოფილების გამგე, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე პროფესორების ანდრია რაზმაძისა და ნიკოლოზ მუსხელიშვილის ინიციატივით იგი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ასისტენტის თანამდებობაზე.

1930-35 წლებში ვიქტორ კუპრაძე მოღვაწეობს ჯერ ლენინგრადში, ხოლო შემდეგ მოსკოვში. იგი არის მარტო მკვლევარი-მათემატიკოსი კი არა, არამედ ახალგაზრდა მეცნიერი-ორგანიზატორიც. ეს ის წლები იყო, როცა კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ძველი რუსეთის, ხოლო იმ დროს უკვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, ლენინგრადის ბინადარი, მოსკოვში გადმოდიოდა. ეს იყო საბჭოთა მეცნიერების ძლავრი აღმავლობის საწყისი წლები. ჯერ ასპირანტი, მერე საქვეყნოდ სახელგანთქმული ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სწავლული მდივანი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ახალგაზრდული ენთუზიაზმით, ენერგიით აღსავსე ვიქტორ კუპრაძე აქტიურ მუშაობას ეწევა ლენინგრადსა და მოსკოვში, რომლის უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებსაც კითხულობს, მისი უშუალო მონაწილეობით არსდება ცნობილი საბჭოთა სამეცნიერო ჟურნალი „უსპეხი მატემატიჩესკიხ ნაუკ“, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრიც იყო იგი წლების მანძილზე.

1935 წელს მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში ვ. კუპრაძე გრწყინვალედ იცავს დისერტაციას თემაზე „ელექტრომაგნიტური ტალღის დიფრაქციის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“ და ენიჭება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1936 წელს ახალგაზრდა სახელმოხვეჭილი მეცნიერი სამშობლოში ბრუნდება და სულ მალე ექცევა რესპუბლიკის სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრში. ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებების კათედრის გამგე, პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში და რექტორი, რესპუბლიკის განათლების მინისტრი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოების პირველი პრეზიდენტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი — ყოველივე ეს ნათლად მიგვანიშნებს მოღვაწეობის რა შესანიშნავი გზა გაიარა დიდმა მეცნიერმა და მოქალაქემ. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ვიქტორ კუპრაძემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომლის ნამდვილი წევრიც არის იგი 1946 წლიდან, ხოლო აკადემიის პრეზიდიუმის წევრია 1948 წლიდან.

სკკპ რიგებში ვიქტორ კუპრაძე 1932 წელს შევიდა, 1946-63 წლებში არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, მონაწილეობდა სკკპ XXIV ყრილობის მუშაობაში. იგი საქართველოს სსრ რამდენიმე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1947 წელს მონაწილეობდა აზიის ხალხთა დელეგატთა კონგრესის მუშაობაში, 1955 წელს კი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის მუშაობაში, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრი.

დიდ მათემატიკურ ნიჭთან ერთად ვ. კუპრაძე დაჯილდოებულია ადამიანებისა და სამშობლოს სიყვარულის იშვიათი ნიჭით, რომლის ბრწყინვალე გამოვლინება იყო მისი მონაწილეობა დიდ სამამულო ომში.

ვ. კუპრაძეს მიერ მეცნიერების სამსახურში გატარებული 55 წელი აღსავსეა ბრწყინვალე მეცნიერული შედეგებით. მისი გამოკვლევები ძირითადად შეეხება მათემატიკური ფიზიკის, დრეკადობის მათემატიკური თეორიის, დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის აქტუალურ პრობლემებს.

მისი ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგია ზომერფელდის ე. წ. „გამოსხივების პრინციპის“ მათემატიკური დასაბუთება, რითაც მან სერიოზული წვლილი შეიტანა რხევის მათემატიკურ თეორიაში.

ვიქტორ კუპრაძეს ფუნდამენტური შედეგები აქვს მიღებული დრეკადი ტალღის გავრცელებისა და დიფრაქციის თეორიასა და დრეკადობის თეორიის სტატიკისა და სტაციონარული რხევის სასაზღვრო ამოცანების თეორიაში, რომლებიც საფუძვლად დაედო მის ორ მონოგრაფიას „დიფრაქციის მათემატიკური თეორიის ძირითადი ამოცანები“ (ლენინგრადი, 1935 წ.), და „რხევის თეორიის სასაზღვრო ამოცანები და ინტეგრალური განტოლებები“ (მოსკოვი, 1950 წ.). პირველი მათგანის ინგლისური თარგმანი 1952 წელს გამოსცა კალიფორნიის უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტმა, ხოლო მეორე ითარგმნა გერმანულ ენაზე და 1956 წელს ბერლინში დაიბეჭდა.

როცა ქართული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის განსაზღვრელ მონაპოვრებზე ვლაპარაკობთ, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილისა და აკადემიკოს ი. ვეკუას საქვეყნოდ ცნობილი გამოკვლევების გვერდით უპირველესად უნდა დავასახელოთ აკადემიკოს ვ. კუპრაძის გამოკვლევები დრეკადობის სივრცულ ამოცანათა თეორიასა დ მრავალგანზომილებიან სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში.

ვ. კუპრაძის მიერ დამტკიცებულია ძირითადი შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანების ცალსახად ამოხსნადობის თეორემები როგორც ერთგვაროვანი, ისე უბნობრივ არაერთგვაროვანი დრეკადი სხეულებისათვის, შესწავლილია ძირითადი შერეული სასაზღვრო ამოცანები იზოტროპიული და ანიზოტროპიული დრეკადი სხეულებისათვის და დამუშავებულია ამ ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ორიგინალური მეთოდები. აღნიშნულ მეთოდებს, რომელთაგან ერთ-ერთი ლიტერატურაში რისი-ფიშერ-კუპრაძის მეთოდის სახელწოდებით დამკვიდრდა, წარმატებით იყენებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოსახსნელად.

ვ. კუპრაძისა და მისი მოწაფეების მიერ დრეკადობის სამგანზომილებიან თეორიაში მიღებული შედეგები ძირითადად თავმოყრილია მონოგრაფიებში: „პოტენციალის მეთოდები დრეკადობის თეორიაში“ (რუსულ ენაზე გამოვიდა მოსკოვში 1963 წელს; ითარგმნა ინგლისურად და 1965 წელს გამოვიდა იერუსალიმში), „დრეკადობის თეორიის დინამიკური ამოცანები“ (დაიწერა ერთ-ერთი საერთაშორისო ენციკლოპედიური გამოცემის შეკვეთით და 1963 წელს ინგლისურ ენაზე გამოვიდა ამსტერდამში) და „დრეკადობის მათემატიკური თეორიის სამგანზომილებიანი ამოცანები“ (რუსულ ენაზე გამოვიდა თბილისში 1968 წელს; მორე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა გამოვიდა მოსკოვში 1976 წელს; ინგლისურად ითარგმნა და ჰოლანდიაში დაისტამბა 1978 წელს). მონოგრაფია, რომელიც ვ. კუპრაძემ თავის მოწაფეებთან თ. გეგელიასთან, თ. ბურჭულაძესა და მ. ბაშელეიშვილთან ერთად დაწერა, 1971 წელს აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო პრემიით.

ვ. კუპრაძის დიდ მეცნიერულ ავტორიტეტზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას ხშირად იწვევენ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის მისაღებად და ლექციების წასაკითხავად. როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოეთის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში. მისი ლექციები მოუსმენიათ უნგრეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტუდენტებსა და მეცნიერ მუშაკებს.

ვ. კუპრაძე საკავშირო ჟურნალ „დიფერენციალნიე ურავნენიას“ სარედაქციო კოლეგიის წევრია ამ ჟურნალის დაარსების დღიდან, არჩეულია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების „მათემატიკური მეთოდები მექანიკაში“ პრეზიდიუმის წევრად, არის საერთაშორისო ჟურნალ „თერმოძაბვების“ რედკოლეგიის წევრი.

ვიქტორ კუპრაძის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასებულ პარტიამ და მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და სამამულო ომის მედლებით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება, არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ.

ვუსურვოთ ჩვენს სასიქადულო მეცნიერსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს ჯანმრთელობა, სიმხნევე და კვლავ დიდხანს ნაყოფიერი მოღვაწეობა.

ე. ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი;
ჯ. ლომინაძე,
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი;
ი. კილურაძე,
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე.

მამათა მაგალითი

ჩვეულებრივ, რედაქცია ცდილობს ორი სათარიღო-საიუბილეო მასალა გაზეთის ერთ ნომერში ან მოახვედროს ხოლმე. დღევანდელი გამოწაკლისი კი შეიძლება სწორედ იმ შემთხვევად მივიჩნიოთ, როცა ჩვენი ორი გამოჩენილი მეცნიერის შესახებ საუბარი გაზეთის ერთ ნომერში მკითხველს სასიამოვნოდ დარჩება.

შვილებს

საკვლე ქართული პატიოსნებით

პაპლე ინგოროყვას დაბადების 90 წლისთავის გამო



„კეთილად აღორძინდი, შატბერდო... სულითა მარადის შენ თანა ვარ შეწევნად შენდა“

გიორგი მერჩული.

რამდენჯერ გადაგვახედა საქართველოს შორეულ საუკუნეებში ჩვენმა ისტორიის მასწავლებელმა, რამდენჯერ მოგვატარა მოწამეთა, ბაგრატი თუ გელათი, რამდენჯერ ჩაგვაჩოქა დავით აღმაშენებლის საფლავთან... ერთხელ კი, გაკვეთილზე, მახსოვს ასეთი რამ გვითხრა: ყმაწვილებო, ერისკაცები საქართველოს არასოდეს დალევია, ერისკაცები გვაფხიზლებდნენ, რაინდულ სულს გვინერგავდნენ... ასე იყო და დღესაც ასეა... ერისკაცები კვლავაც გვყავს და თქვენ მთგან უნდა ისწავლოთ ხვალ-ზეგ სამშობლოს სამსახური... მერე რამდენიმე გვარი დაასახელა და მათ შორის პაპლე ინგოროყვაც ახსნა.

მაშინ ცოტა რამ თუ გაგვეგო მასზე. მოგვიანებით კი, სტუდენტობისას, როცა, მისი წიგნები და ნაშრომები წავიკითხეთ და მკვლევარის შემოქმედებით სამყაროს ახლოს გავეცანით, ჩვენთვის გასაგები გახდა პაპლე ინგოროყვას ფასი, მივხვდით რატომ სცემდა პატივს მთელი საქართველო. მის მოწამებრივ შრომას და იობის მოთმინებას დიდად აფასებენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, ისინიც კი, ვისთანაც ჭეშმარიტების დასადგენად რა კამათი არ ჰქონია მკვლევარს. მაგრამ განა სხვაგვარად შეიძლებოდა იმ საკითხებზე მუშაობა, რომლებსაც სიჭაბუკიდანვე შეეჭიდა?..

სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ კი შრომა, დაუღალავი შრომა და ძიება... ხოლო, თუ რა გააკეთა მშობელი ერისთვის, ამის შეფასება ერთ ადამიანს დიახაც გაუჭირდება (მით უმეტეს ამ სტრიქონების ავტორს). არც გავკადნიერდები.

სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიასი, წარმოთქმული ამ ოცდაათიოდე წლის წინათ:

პაპლე ინგოროყვამ თავისი დიდი ნიჭითა, ასეთივე ერუდიციითა და განსაცვიფრებელი ენერგიით მრავალი ფუნდამენტური შრომა შესძინა ქართული მწერლობის ისტორიას.

ჩვენ, ქართველებს, მრავალ ღირსებისა და ნაკლთან ერთად ერთი სენი გვჭირს. მიცვალებულების წინაშე ვიხრით ქედს, ხანდახან უნიჭო მიცვალებულებს უფრო ვიფასებთ, ვიდრე ნიჭიერ თანამედროვეს.

...ამას წინათ გამოქვეყნდა პაპლე ინგოროყვას დიდი შრომა „გიორგი მერჩულე“, რომელშიაც გაშუქებულია მრავალი საკვანძო საკითხი ქართული მწერლობისა და პოლიტიკური ისტორიისა, პროფექტორივით ნათელი მზერა მიპყრობილია მრავალ დაბურულ საკითხისადმი... ამ უზარმაზარმა შრომამ ისეთი პოპულარობა მოიხვეჭა ორიოდე თვის მანძილზე, ბევრ რომანს არ რგებია ასეთი.

ყოველ ცოცხალ ადამიანს, ყოველ დიდ მკვლევარს და დიდ მწერალს ოპოზიცია ჰყოლია და ეყოლება მუდამ. ეს საგანთა ბუნების შეუცვლელი კანონია, პაპლე ინგოროყვასაც ჰყავს ასეთი ოპოზიცია, ისინი უჩივიან ჰიპოთეზებს, სითამამეს. ერთი ვიკითხოთ, განა ედუარდ მაიერს, მამზენს და მიშლეს არ ჰქონიათ გადაჭარბებული ჰიპოთეზები?

ქართული ლიტერატურის ისტორია შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა, ეს მეცნიერება არც ევროპასა და რუსეთშია დიდი ხნისა. პროფესორი ა. ხახანაშვილი, აკადემიკოსები კ. კეკელიძე და ე. თაყაიშვილი და ნაწილობრივ აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი უყრიდნენ მას საფუძველს. ახალ დროში პაპლე ინგოროყვამ უდიდესი ღვაწლი დასდო ამ მეცნიერებას. ეს ღვაწლი, ვიმეორებ, ჯერ არც შესწავლილია და არც შეფასებული.

1913 წელს სავსებით ახალგაზრდა მკვლევარმა გამოსცა „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ — 477-გვერდიანი ფუნდამენტური შრომა. ერთი წლის შემდეგ „ეფრემ მცირე“ შესავალი „ფსალმუნთა კატენებისა“. ამას მოჰყვა „იოანე შავთელის საგალობელნი 1206 წლისა“. მერმე ზედიზედ გამოაქვეყნა: „ჩახრუხაძე — პოეტი მოგზაური“, დიდი შრომა, შთაგონებული ჰიპოთეზებით გამბმული „რუსთველიანა“, დიდად საინტერესო ნარკვევი „ძველქართული წარმართული კალენდარი“, რომელსაც ქართული ისტორიის ხელახლა ფუძემდებელმა ივანე ჯავახიშვილმა უწოდა „გზის გამკვლევი ნაშრომი ქართულ მეტყველებაში“, „შოთა რუსთაველი და მისი პოემა“, „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ და სხვ.

დიდად საინტერესოა მისი „თამარ მეფის იამბიკონი“, „ლეონტი მროველი“, „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, კარდინალური შრომა: „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

ამხ. პ. ი. ინგოროყვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი და მეცნიერი პავლე იესეს ძე **ინგოროყვა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.
თბილისი. 1983 წლის 26 ოქტომბერი.

პავლე ინგოროყვა იცნობს არა მარტო ქართული ენა-ლიტერატურა-მყაროს, იგი სომხური ძველი მწერლობისა, მითოლოგიისა და ისტორიის დიდი მცოდნეა.

მკვლევარს სავსებით უანგარო და მძიმე შრომა აქვს ჩატარებული არა არა მარტო ძველი საქართველოს მწერლობის საკვლევად, ჯერ კიდევ ისეთ დროს, როცა კლასიკოსებისადმი უყურადღება სასახელო საქმედ არ ითვლებოდა, მან გამოსცა ი.ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, გ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის ტომები. იგი იყო მათი კომენტატორი, ბიოგრაფი, მათი მემკვიდრეობის გულმოდგინე მკვლევარი.

მწერალთა ახალი თაობის საგულისხმოდ მე მინდა ხაზი გავუსვა პ. ინგოროყვას არა მარტო განსაცვიფრებელი შრომის უნარს და მის დიდ ნიჭს, მის ადამიანურ ღირსებებსაც, დიდი მორალური სიფაქიზით ცნობილია იგი ჩვენს მწერლურ ოჯახში, პატიოსნებით სავსე, უებრო რაინდი, გაჭირვების ჟამს ერთგული ამხანაგი.

ეგეც დაიხსომონ ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომელთაც ჯერ არ იციან, რომ მხოლოდ ის რჩება მომავალი თაობების მეხსიერებაში, რაც გულის სიახლის საფასურით და თავგამეტებული შრომით შექმნილა.

* * *

პავლე ინგოროყვა სიჭაბუკეში ცისფერყანწელთა დასის აქტიური წევრი იყო. მეგობრები დიდად აფასებდნენ მის გემოვნებას, ანალიტიკურ ნიჭს.

იგი იყო ქართველ მწერალთა კავშირის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რედაქტორობდა ჟურნალებს „კავკასიონსა“ და „ახალ კავკასიონს“, 1928 წელს დააარსა გამომცემლობა „ქართული წიგნი“, პოეტებმა მშვენიერი ლექსები უძღვნეს თავის ძმას და მეგობარს. გახსოვთ პაოლო იაშვილი? „ძმაო ინგოროყო, პოეტო, ადრე, და მერე დარდო წარსულ დიდების“... ანდა, კოლაუ ნადირაძე: „ო, მეგობარო უსპეტაკესო, ცად თუ აკურთხეს აკვანი შენი, რომ ჩვენი სულის სიღრმეში თესო სიტყვა ქართული მერჩულეს ენით“. შურმან ლებანიძე კი ასე ეუბნება: „ბერო! მარტვილო! ერის მუშავ, გშვენის მზნე გული!“..

კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ახლა მეცნიერს მივცეთ სიტყვა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის სარგის ცაიშვილის ნაუბარი:

პავლე ინგოროყვა გამორჩეული ფიგურაა ქართველ მწერალთა და ლიტერატურის მკვლევართა შორის. სხვა ღირსებებთან ერთად განსაკუთრებულია მის გამოკვლევებში ჩაქსოვილი მძაფრი ეროვნული სულისკვეთება და თხრობის დიდი ოსტატობა. პავლე ინგოროყვა, მართლაც, დიდი არტისტიზმით ფლობს ლიტერატ

1 ნოემბერი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

ძმათა ხელშეკრულება

შემოდგომა ხავერდოვანი სეზონია ვიეტნამის დედაქალაქში. პაპანაქება სიცხის შემდეგ, რომელსაც ტროპიკული წვიმებიც კი ვერ შველის, სასიამოვნო გრილი ამინდი დგება. ჰანოის ქუჩები და მოედნები მწვანეშია ჩაფლული. ამავე დროს ნოემბრის დამდეგისათვის ქალაქი აი უკვე მეხუთე წელია ალისფერი დროშებითა და ტრანსპარანტებით ირთვება. ვიეტნამელი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს სსრ კავშირსა და ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების წლისთავებს. 1978 წლის 3 ნოემბერს მოსკოვში ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ამ ისტორიულ დოკუმენტს, რომელიც მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა საბჭოთა და ვიეტნამელ ხალხებს შორის ურთიერთობის განვითარებაში.

ძმების ხელშეკრულების უფროდენეს სსრ კავშირ-ვიეტნამის ამ დოკუმენტს. განვლილმა ხუთმა წელმა ცხადყო მისი უდიდესი საარსებო მნიშვნელობა. სსრ კავშირ-ვიეტნამის ურთიერთობამ ეფექტურად ყოველისმომცველი ხასიათი შეიძინა. იგი მოიცავს სახალხო მეურნეობის, კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოებრივი და

სსრ კავშირ-ვიეტნამის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების 5 წლისთავის გამო

სამეცნიერო ცხოვრების ყველა სფეროს.

„ხოსბინის“ ჰიდროელექტროსადგური ერთ-ერთი იმ 50 ობიექტთაგანია, რომლებიც ამჟამად ვიეტნამში საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით შენდება. 1,2 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ეს ელექტროსადგური სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა იქნება. საერთოდ კი სსრ კავშირის ხელშეწყობით ვიეტნამში ბოლო 25 წლის მანძილზე ორასამდე საწარმო აიგო, რომლებიც რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი გახდა. თბოელექტროსადგური „ფალაი“, დიზელების ქარხანა ჰანოის მახლობლად, სამხრეთ ვიეტნამში ნავთობგაზის საბადოების დასაზვერი და საექსპლოატაციო ერთობლივი საწარმო „ვიეტსოვპეტრო“, — აი ზოგიერთი ერთობლივი ობიექტის მისამართები.

— ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი და ურთიერთხელსაყრელია, — ამბობს ვიეტნამელ კომუნისტთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ქვეყნის უდიდესი ქალაქის — ხოში-მინის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარე თი თხო. — ხოში-მინის ნავსადგურით — სამხრეთის საზღვაო ჭიშკრით ყოველწლიურად მილიონობით ტონა ტვირთი გადის და შემოდის. სოციალისტური ვიეტნამი იღებს ჩარხებს, მანქანებს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მინერალურ სასუქებს, მნიშვნელოვან სამრეწველო მოწყობილობას, ხოლო საბჭოთა კავშირის დროშიან თბომავლებს შორეული აღმოსავლეთისა და შავი ზღვის ნავსადგურებში მიაქვთ ვიეტნამის ტრადიციული საექსპორტო საქონელი — ტექსტილი, ჩაი, ყავა, ახალი და დაკონსერვებული ხილი და ბოსტნეული. მათი მიწოდება სსრ კავშირში ბოლო ხუთი წლის მანძილზე სამჯერ გაიზარდა.

სსრ კავშირ-ვიეტნამის ხელშეკრულებამ ახალი იმპულსი მისცა ორ ქვეყანას შორის კულტურულ კავშირურთიერთობასაც. ბოლო წლებში ვიეტნამელი მაყურებელი გაეცნო საბჭოთა კავშირის საუკეთესო შემოქმედებითს კოლექტივებსა და შემსრულებლებს. აქ გასტროლები გამართეს ანსამბლმა „ბერიოზკამ“, საბჭოთა არმიის წითელდროშოვანმა ანსამბლმა, ტალინის, ოდესის, კიშინიოვის თეატრების საბალეტო დასებმა და სხვებმა. მათ შესანიშნავ ხელოვნებას ტაშს უკრავდნენ ხაიფონის და ჰანოის, ხოშიმინისა და დანანგის მაყურებლები. თავის მხრივ საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის მცხოვრები გაეცნო ვიეტნამის უძველეს თავისთავად კულტურას. საბჭოთა კავშირში დიდი წარმატება ხვდათ წილად ვიეტნამის კლასიკურ თეატრს, საესტრადო ანსამბლებს „ლოტოსსა“ და „ახალგაზრდობას“, ბევრ ქალაქში მოეწყო ვიეტნამის სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებების გამოფენები.

ამ დღეებში ვიეტნამში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის ერთთვიური, რომელიც ეძღვნება ორ ღირსსახსოვარ თარიღს — სსრ კავშირსა და ვიეტნამს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების 5 წლისთავს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავს. ერთთვიურის ფარგლებში ეწყობა მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი — მიტინგები, საუბრები, გამოფენები, კონცერტები. მათი მონაწილენი ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ვიეტნამელი ხალხი მზად არის კიდევ უფრო ამრავლოს თავისი წვლილი სსრ კავშირ-ვიეტნამის ურღვევი მეგობრობის განმტკიცებისა და გაღვივთარებაში.

მეგობრობის მიტინგი

ჰანოი. აქ გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულების მეხუთე წლისთავსა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66 წლისთავს. „ბაღინის“ დარბაზში გამართულ მიტინგზე მოვიდნენ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჰ. ა. ალიევის მეთაურობით, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ფამ ვან დონგი, ვიეტნამის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

მიტინგი გახსნა **ფამ ვან დონგმა.**

ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ტო ხიუმ** თავის გამოსვლაში გულწრფელი მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის მთავრობასა და მოძმე საბჭოთა ხალხს ვიეტნამელი ხალხის რევოლუციური საქმისადმი სიმპათიის გრძნობის, უდიდესი მხარდაჭერისა და ეფექტიანი დახმარებისათვის.

ტო ხიუმ საბჭოთა კომუნისტებს, მოძმე საბჭოთა კავშირის მთავრობასა და ხალხს, პირადად ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვს გადასცა ვიეტნამელი კომუნისტებისა და მთელი ვიეტნამელი ხალხის მხურვალე სალამი და მათი სახელით უსურვა ყოველივე საუკეთესო.

შემდეგ გამოვიდა **ჰ. ა. ალიევი,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. იგი მხურვალედ მიესალმა მიტინგის მონაწილეებს, სოციალისტური ვიეტნამის კომუნისტებს, ყველა მოქალქეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით.

საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის შენობა, თქვა ჰ. ა. ალიევმა, ჩვენ ერთად დავაფუძნეთ მკვიდრ, ნაცად საძირკველზე. ეს ჩვენი ხალხების საერთო ძირეული მიზნები და ინტერესებია.

მიტინგმა ჩაიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის უფროვეი მეგობრობისა და სოლიდარობის, საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების ძმური ერთიანობის ნიშნით.

ჰანოი. აქედან ქვეყანაში სამოგზაურო წავიდა სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჰ. ა. ალიევის მეთაურობით.

გაცილების დროს ფან ვან დონგმა და ჰ. ა. ალიევმა მოკლე სიტყვები წარმოთქვეს.

ქვეყანაში მოგზაურობის დროს საბჭოთა დელეგაციას ახლავს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დო მიო.

შემთხვევა

თანამდებობამ ვერ უშველა

ბონი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ბავარიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიის გენერალურმა მდივანმა ოტო ვისხოიმ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. როგორც დას საგენტო იუწყება, იგი მთვრალი მიუჯდა ავტომანქანის საჭეს და მისი მიზეზით დაეტაკა სხვა ავტომანქანას, რომლის მძღოლი გარდაიცვალა.

საგენტო აღნიშნავს, რომ ო. ვისხოიზე, რომელიც ამავე დროს სამხარეო ლანდტაგის დეპუტატიც არის, არ ვრცელდება საპარლამენტო ხელშეუხებლობის პრინციპი და იგი სასამართლოს წინაშე წარდგება. ბავარია ერთ-ერთი იმ ფედერალური მხარეთაგანია, სადაც დეპუტატი მოკლებულია ხელშეუხებლობის უფლებას და საგზაო მოძრაობის წესების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში პასუხისგებაში აძლევენ.

ბონი. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ბავარიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის პარტიის გენერალურმა მდივანმა ოტო ვისხოიმ მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. როგორც დპას საგენტო იუწყება, იგი მთვრალი მიუჯდა ავტომანქანის საჭეს და მისი მიზეზით დაეტაკა სხვა ავტომანქანას, რომლის მძღოლი გარდაიცვალა.

საგენტო აღნიშნავს, რომ ო. ვისხოიზე, რომელიც ამავე დროს სამხარეო ლანდტაგის დეპუტატიც არის, არ ვრცელდება საპარლამენტო ხელშეუხებლობის პრინციპი და იგი სასამართლოს წინაშე წარდგება. ბავარია ერთ-ერთი იმ ფედერალური მხარეთაგანია, სადაც დეპუტატი მოკლებულია ხელშეუხებლობის უფლებას და საგზაო მოძრაობის წესების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში პასუხისგებაში აძლევენ.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● **ოსლო.** **ნორვეგიელთა 80 პროცენტი მხარს უჭერს არსებულ დონეზე ბირთვული არსენალების გაყინვას, ახალი ბირთვული შეიარაღების გამოცდის, წარმოებისა და განლაგების აკრძალვას.** ამას მოწმობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოეწყო გაზეთ „არბეიდედებლადეტის“ ინიციატივით.

● **ტოკიო.** **მწვავე უთანხმოების ვითარებაში მიმდინარეობს აქ იაპონია-ამერიკის მორიგი მოლაპარაკება სავაჭრო-ეკონომიკურ პრობლემებზე.** როგორც იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, მოლაპარაკების პირველი ტურის დამთავრებისას ამერიკის წარმომადგენლებმა უ. ბროუმა და იაპონიის მინისტრმა ს. უნომ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებში იაპონიის ავტომობილების ექსპორტის შემცირების თაობაზე.

● **ნიუ-იორკი.** **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია „ირანისა და ერაყის ურთიერთობაში სიტუაციის“ საკითხზე, რომელშიც ორივე მხარეს მოუწოდა თავი შეიკავონ ყოველი მოქმედებისაგან, მშვიდობასა და უშიშროებას რომ უქმნიან საფრთხეს.**

რეზოლუციაში (12 კაცმა ხმა მისცა, სამმა კი თავი შეიკავა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს წინადადება ეძლევა განაგრძოს თავისი საშუამავლო მეცადინეობა ყოვლისმომცველი, სამართლიანი და საპატიო მოწესრიგების მიღწევის მიზნით, რომელიც მისაღები იქნება ორივე მხარისათვის.

● **ლუსაკა.** **ზამბიის პრეზიდენტმა კ. კაუნდამ განაცხადა, რომ რესპუბლიკა მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკის სრულ განთავისუფლებას რასისტული ჩაგვრისაგან.** ლივინგსტონის საერთაშორისო საერთო ბაზაზე ახალგაზრდა ოფიცრების წინაშე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ზამბიის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის მხედრიონის აგრესიული აქციები მას ვერ აიძულებენ უარი თქვას კონტინენტის სამხრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, ყველა იმათ მხარდაჭერაზე, ვინც იბრძვის პრეტორიის რეჟიმის წინააღმდეგ.

● **აშშ**

თეთრი სახლის ზეგავლენით

ვაშინგტონი. **აპყვა რა თეთრი სახლის ნებას, შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა უარყო პროექტი რეზოლუციისა,** რომელიც მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ბირთვული შეიარაღების წარმოების, გამოცდისა და განლაგების დაუყოვნებლივ ურთიერთგაყინვას, რომლის შემოწმებაც შესაძლებელი იქნება. პროექტი შეიტანეს დემოკრატმა სენატორმა ე. კენედიმ და რესპუბლიკელმა სენატორმა ი. ჰეტფილდმა.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ზედა პალატაში კენჭისყრას წინ უძღოდა უბრეკედენტო ლობისტური კამპანია, რომელსაც რამდენიმე თვის მანძილზე ეწეოდნენ კაპიტოლიუმის ბორცვზე თეთრი სახლი და პენტაგონი. რეიგანის ადმინისტრაცია, დაადგა რა სსრ კავშირთან შედარებით ბირთვული უპირატესობის მიღწევისა და მასობრივი მოსპობის უახლეს სახეობათა იარაღის შექმნის კურსს, ცდილობდა რადაც უნდა დაჯდომოდა ძირი გამოეთხარა და სახელი გაეტეხა ბირთვული არსენალების გაყინვის თვით იდეისათვის.

● **გრენადა**

წინააღმდეგობა გრძელდება

ჯორჯთაუნი. **გრენადელი პატრიოტები, რომლებიც ქვეყნის მთის რაიონებში პოზიციებზე გამაგრდნენ, კვლავ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკელ აგრესორებს.** „ადგილმდებარეობის გაჩხრეკის“ ოპერაციებში ოკუპანტები დიდ სიძნელეებს აწყდებიან დამიზნებული ცეცხლის გამო, რომელსაც რევოლუციური შეიარაღებული ძალების მებრძოლები, სახალხო მილიცია და მოხალისეები უშენენ.

როგორც რადიოსადგური „ბარბადოსის ხმა“ იუწყება, განსაკუთრებით ინტენსიური სროლაა კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ამავე დროს პენტაგონის ჯარების მიერ კუნძულის ოკუპაციის განგრძობასთან და პატრიოტების დასჯასთან ერთად შეერთებული შტატები ყველა ღონეს ხმარობს, რათა არ დაუშვას ამერიკის ინტერესების შემდგომი მხილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაგზავნეს მოთხოვნა, რომ არავის დაერთონ ნება ამ ორგანიზაციაში გამოვიდეს გრენადის სახელით მანამ, სანამ ამერიკელები კუნძულზე არ შექმნიან მარიონეტულ მთავრობას.

ამჟამად ვაშინგტონი ჩქარობს შეაკოწიწოს ეგრეთწოდებული „მშვიდობის დამცველი ძალები“ და დაეინებით ცდილობს მათში ინგლისის ჯარების შეყვანას იმ საბაბით, რომ გრენადა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში შედის. მაგრამ ეს განზრახვა წინააღმდეგობას აწყდება ინგლისის ოფიციალური წრეების მხრივ, რამეთუ ოკუპაცია ინგლისის თანხმობისა და რჩევის გარეშე მოხდა. დიდი ბრიტანეთის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ვანაცხადა: „რეიგანის ამბიციები იმდენად დიდია, რომ ინტერვენცია ბრიტანეთის ტრადიციული კავშირების გვერდის აცლით წამოიწყო“.

ლონდონი. „გრენადაში შეჭრას ცენტრალურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური პრესტიჟის ყველაზე საგრძნობი დაცემა მოჰყვა“, — წერს ლონდონის „გარდიანი“. აღნიშნავს რა, რომ ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობამ დაგმო ამერიკის ინტერვენცია, გაზეთი წერს, რომ ლათინურ ამერიკაში მატულობს შეშფოთება რეგიონში შეერთებული შტატების შემდგომ განზრახვათა გამო. „ხვალ გრენადის მდგომარეობაში შეიძლება ნებისმიერი ქვეყანა აღმოჩნდეს“, — აღნიშნავს „გარდიანი“.

ᲬᲝᲚᲝᲤᲐᲪᲘ

● **აშშ**

ანგიბირთვული კამპანია ძლიერდება

ამერიკელი მშვიდობის მომხრეები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ დასავლეთ ევროპაში ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ, ქვეყნის 200 ქალაქში მასობრივ ანტიბირთვულ კამპანიას აწყობენ.

მათ გადაკეტეს ნიუ-იორკის შტატში სენეკის სამხედრო ბაზასთან მისასვლელი გზები, საიდანაც, როგორც ჩანს, გაიგზავნება ოკეანის გადმა „პერშინგ-2“ რაკეტები.

სურათზე: ცნობილი პედიატრი ბენჯამინ სპოკი სენეკის ბაზასთან ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილეთა შორის. 32 სხვა მანიფესტანტთან ერთად იგი ხელისუფლებამ დააპატიმრა.

აპ-სპიდეისის ფოტო.

ᲢᲔᲚᲔᲒᲘᲖᲘᲐ

2 ნოემბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — „ნორჩთა შემოქმედება. 9.50 — მხატვრული ფილმი „ქარიშხლით შობილნი“. 11.00 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.20 — მოგზაურთა კლუბი. 12.20 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.30 — მუსიკალური გადაცემა. 19.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ევროპის ჩემპიონთა თასი ფეხბურთში. მერვედფინალი. მინსკის „დინამო“ — უნგრეთის „რაბა“ ეტო. 21.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ე. გილელსის კონცერტი. 23.15 — დღეს მსოფლიოში. 23.30 — უეფას თასი ფეხბურთში. „ასტონ-ვილა“ — „სპარტაკი“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დღის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 — გეოგრაფია. 10.05 და 14.10— გერმანული ენა. 10.35 — რ. ჰამზათოვის ლირიკა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ფიზიკა. 11.35 და 12.40 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 12.05 — თქვენთვის, მშობლებო! 13.10 — ანდერსენის ზღაპრები. IV კლასი. 13.40 — „იცოდე და ისწავლე“. 14.40 — შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავი. 15.25 — დემიან ბედნი — რევოლუციის მეხოტბე. 16.20 და 19.00 — ახალი ამბები. 19.20 — ჯ. კოპოუტი — სიმფონია; ასრულებს ქალაქ ბრნოს კამერული ორკესტრი. 19.30 — დედის სკოლა. 20.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 21.00 — „ძალი ნებისა, პატარებო! 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „როგორი ღამილი გაქვთ?“. 24.00 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 17.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 17.30 — პროგრამა მოსწავლეთათვის: მულტიპლიკაციური ფილმები. 17.55 — საბავშვო მუსიკალური სპექტაკლი „სათაგური“. 18.45 — კინონარკვევი. 18.55 — „აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე“ (დაბადების 80 წლისთავის გამო). 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 21.00 — ფეხბურთი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე: მერვედფინალი. მინსკის „დინამო“ — უნგრეთის „რაბა“ ეტო. II ტაიმი. რეპორტაჟი მინსკიდან. 21.45 — კინონარკვევი. 21.55 — „ხვალ ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ქორწილის დღე დასადგენია“. 00.10 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.00 — მოსწავლეთათვის — ქართული ლიტერატურა. 16.45 — მხატვრული ფილმი „გრძნობების დაბრუნება“. 18.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა.

ᲗᲣᲐᲢᲠᲝ

2 ნოემბერი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ოტელო;** პროფკავშირების კულტურის სასახლე (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი) — **ჩემი ეიფელის კოშკი;** თბილისის სახელმწიფო დრამატული — **1832 წელი;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიმფონია მაინც დამთავეთ;** მინიატიურების სახელმწიფო — **ნაკრები;** მოზარდ მაყურებელთა ქართული — **დინოზავრების გაუმარჯოს** (აბონ. № 50. დასაწყ. საღ. 7 ს.).

1 ნოემბერი

ᲠᲔᲡᲙᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ

ᲙᲐᲡᲕᲘ

შენდება, მშვენდება

ქარგი საჩუქარი მიიღეს ცემენტ-შიფერის კომბინატის მშრომელებმა. დამთავრდა მეცემენტეთა ორი 40-ბინიანი და ერთიც ოცბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ახალმოსახლეობა იზეიმეს აგრეთვე რკინა-ბეტონის ქარხნის მუშამოსამსახურეებმა, რომელთათვისაც 58-ბინიანი საცხოვრებელი სახლი აშენდა.

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი. ამჟამად მიმდინარეობს მდინარე ლეხურას მარცხენა ნაპირის საყრდენი კედლის მშენებლობა, ახალი სანაპირო მალე დაამშვენებს ქალაქს.

ინდუსტრიულ კასპს მალე ორი ახალი სამრეწველო ობიექტი შეემატება. დაიწყო ელექტროძრავებისა და ტუმბოების სარემონტო ქარხნის მშენებლობა, მომავალი წლიდან კი საძირკველს ჩაუყრიან სპეციალურ ავტომანქანათა სარემონტო ქარხანას.

ქალაქს წინათ სასმელი წყლის ნაკლებობა აწუხებდა. ეს პრობლემაც გადაწყდა, — რესპუბლიკის სამინისტროებისა და ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა ძონაწილეობით დაიწყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა.

დედამ რომ შვილი

გაზაზრდოს...

ჯემალ ჯანჯალაშვილმა სოფელ სასირეთში გაატარა ბავშვობა. აქ დაიბადა და აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, რის შემდეგაც საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. თავმდაბალი და ყურადღებიანი ჯარისკაცი, მალე სამხედრო ნაწილის ფრიადოსანი გახდა, ხშირად უსახელებია თავი ტაქტიკურ მეცადინეობაზე.

...გვიან ღამით ჯემალი და მისი თანაპოლკელები საზღვრის დამრღვევებს გადაწყდნენ. ბანდიტებთან შეტაკებისას ურთიერთ ესი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა სასირეთელი ვაჟკაცი — სიკვდილი ან თანაპოლკელთა გადარჩენა!... ჯემალმა თავგანწირვა ამჯობინა და საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა განსაცდელში ჩავარდნილი მებრძოლები.

გამოჩენილი გმირობისა და ვაჟკაცობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჯემალ ჯანჯალაშვილი სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ამის თაობაზე წერდა ამ დღეებში კასპის რაიონული გაზეთი „განთიადი“.

„მე ძლიერ მიყვარს

სიცოცხლე“

კასპის კულტურის სახლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო ქალაქის თვითნასწავლ მხატვართა გამოფენა. დამთავალიერებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა მხატვრის ნუგზარ გოზლოვის ფერწერულმა ტილოებმა.

„ნუგზარის ოპტიმიზმით აღსავსე შემოქმედება იმის დასტურია, თუ რა ძალუძს სიცოცხლის სიყვარულს, რომელსაც შეუძლია ყოველგვარი ადამიანური ტრაგედია და ტკივილი დაამარცხოს“, — წერენ კავთისხეველი მოსწავლეები შთაბეჭდილებათა წიგნში.

სიყრმიდანვე სარეცელს მიჯაჭვულ ბიჭს, მართალია, სკოლაში არ უვლია, მაგრამ მან გადაწყვიტა ესწავლა და მიზანსაც მიაღწია: საშუალო სკოლა დაამთავრა და სამხატვრო ხელოვნების დაუფლება განიზრახა. ნუგზარმა ამ ჩანაფიქრსაც შეასხა ხორცი — დაუსწრებლად დაამთავრა გორის სამხატვრო სასწავლებელი.

ნორჩი ხელოვანი აქტიურად მონაწილეობს, სხვადასხვა შემოქმედებითს კონკურსში.

ᲢᲧᲣᲐᲔᲑᲡ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

მოაქვთ

ქალაქის სამშობიარო სახლში კასპელ დალი დავითურს ტყუპი ქალ-ვაჟი შეეძინა. ახალგაზრდა დედა უკვე სამ ბავშვს ზრდის.

ქალაქის საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, დავითურების ოჯახს სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა გადაეცა. ძეობაც და ახალმოსახლეობაც ბედნიერმა ოჯახმა ახალ ბინაში იზეიმა.

ოჯახის მამა შ. დავითური „კასპელექტროაპარატის“ მოწინავე მუშა და საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

სახელმწიფო ქმედითს დახმარებას უწევს მარტოხელა და მრავალშვილიან ოჯახებს, მარტო შარშან რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ხაზით ასეთი ოჯახებისათვის 25 ათასზე მეტი მანეთი გაიცა.

გ. სააკაძის ძეგლი.

ვ. გენგიურის ფოტო.

აქ ისვენებენ

მუშების ოჯახები

რკონის თვალწარმტაც ხეობაში კოხტა ფიზური კოტეჯები აღმართეს. ეს „კასპელექტროაპარატის“ მუშა-მოსამსახურეების დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი დაბაა. აქ ყოველწლიურად მეაპარატეთა 80 ოჯახი დაისვენებს.

ქარხანამ საკუთარი ძალებით დასვენების ზონაში უკვე გაიყვანა გზები, კოტეჯებში მიყვანილია ელექტროგანათება და სასადილოსა და კლუბის მშენებლობაც მალე დამთავრდება.

ქარხნის დასასვენებელ სახლებში გაისად მიიღებენ პირველ მოაგარაკეებს.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ —

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ

„დიდსაჩიტეს ბანძეული“ — ასე ჰქვია კასპელი ჟურნალისტი ქალის, რაიონული გაზეთის „განთიადის“ რედაქტორის მოადგილის ნორა ედიშერაშვილის წიგნს, რომელიც კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის დაკვეთით გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

წიგნი გვაცნობს პირველი ხუთწლედის ერთ-ერთი პირველშობილ — კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას.

კომბინატში გაიმართა წიგნის საჯარო განხილვა, რომელშიც სხვა მკითხველებთან ერთად, თვით წიგნის გმირებიც მონაწილეობდნენ.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სატურნირო ორბიტა

ᲯᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐ. მოსკოვში დამთავრდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები. შეჯიბრების ბოლო დღეს იასპარეზეს ზემძიმე (110 კილოგრამზე მეტი წონის) ძალოსნებმა. პირველობა მოიპოვა კიეველმა ა. პისარენკომ, რომელმაც ორჭიდში 450 კგ დააგროვა. ასეთივე შედეგი ჰქონდა გროდნოელ ა. კურლოვიჩს, მაგრამ იგი პისარენკოზე მძიმე აღმოჩნდა. და ამიტომ მას მეორე ადგილი მიეკუთვნა. მესამე ადგილზე გამოვიდა ბულგარელი სპორტსმენი ა. კრასტევი —427,5 კგ. **საბჭოთა ძალოსნებმა განვლილ ჩემპიონატზე სულ 16 ოქროს, 18 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. სსრ კავშირის ნაკრები გუნდურ ჩათვლაში უკვე ოცდამეხუთედ დაეუფლა პირველობას.** ბულგარეთის გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა (12 ოქროს, 8 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი).

ᲫᲘᲣᲓᲝ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც იასპარეზეს უხეროეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და გდრ-ის სპორტსმენებმა. ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავდნენ დიხამელი ათლეტები. საწყის ეტაპზე გათამამდა გუნდური პირველობა, რომელსაც სსრ კავშირის ნაკრება დაეუფლა. პირად შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენთა შედეგები ასეთია: პირველი ადგილები დაიკავეს კურსკელმა ალექსანდრე შურო�kმა (95 კილოგრამზე მეტი წონა), თბილისელმა მალხაზ ბერუაშვილმა (95 კგ-მდე წონა), პერმელმა ვლადიმერ შესტაკოვმა (78 კგ) და ოდესელმა ფიოდორ მარგიანმა (65 კგ). ლენინგრადელმა მიხეილ ნაცარაშვილმა (65 კგ) მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო კურსკელმა ალექსანდრე სივცევმა (86 კგ) —მესამე.

ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲖᲣᲠᲗᲘ. მოსკოვში დამთავრდა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. გთავაზობთ ასპარეზობის ბოლო დღის შედეგებს: ლენინგრადის „სპარტაკი“-რიგის ასკ —113:92, ცსკა-კიევის „სტროიტელი“ — 79:68, - რიგის ვეფი-ტაშკენტის „უნივერსიტეტი“ —91:111, კაუნასის „ჟალგირისი“-მოსკოვის „დინამო“ — 110:103, მინსკის რტი-კიევის ასკ —66:75. „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ თბილისის „დინამომ“ თავისი ბოლო შეხვედრა ვილნიუსის „სტატიბასთან“ წაადო 91:111). პირველი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილში გუნდები ასე განლაგდნენ: „ჟალგირისი“ —10 გამარჯვება, ც